ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 46

1877—1905

№ 46

ოთხშაბათი, 6 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 6 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა", რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

✦ ცირკი რჩება ცოტა ხნით ✦

ოთხშაბათს, 6 აპრილს, დიდი წარმოდგენა იქმნება სამ განყოფილებად. სხვათა შორის, მეორე განყოფილების ბოლოს გაიმართება **სამი ჭიდაობა**. პირველად კავკასიურად იჭიდავებს ავადმყოფობისაგან განკურნებული ცნობილი ჰერკულესი-ფალავანი **რომო**. დაეჭიდება ცნობილს ფალავანს **ლადო ჩუბინიძე-ასხაბაძეს**. ჯილდო ვერცხლის საათი. მეორედ კავკასიურადვე იჭიდავებს ცნობილი უძლეველი ფალავანი მზარეული **მაისურაძე** ცნობილ უძლეველ ფალავან **ჯიბგირთან**. ჯილდო 25 მანათი, რომელსაც დამარცხებული ნიშნავს თავისით. მესამედ ცნობილი ჰერკულესი-ფალავანი **ლიტვინოვი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **თედო ბერეკუშვილს**. ჯილდო ვერცხლის საათი. დასასრულ „კეკ-ვოკი". დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

ანონსი: ხვალ, 7 აპრილს, გაიმართება წარმოდგენა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სასარგებლოდ.

1—1

ვეტცელის თეატრი

ოთხშაბათს, 6 აპრილს, **ქართულ თეატრის არტისტის ვ. ა. აბაშიძის სასარგებლოდ**

წარმოდგენილი იქნება:

1. **საუბედურო დებიუტი**—ვოდევ. 1 მოქმ.
2. **ბიძიასთან გამოხუმრება**—კომედ. 1 მოქმ.
3. **საღამოს ერთი ცხვირი ხეირია**—კომ. 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჯავახიშვილ; ბ.ბ. აბაშიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანოვი, საფაროვი, შალიკაშვილი.

დასასრულ **კონცერტი-დივერტისმენტი**.

მონაწილეობას მიიღებენ: რუსულ ოპერის არტისტები ბ. ტომაშევიჩი ბ ა. ალექსი-მესხიშვილი; კ. ჯაფარიძე, ი. ივანიძე.

ადგილების ფასი 2 მანათიდან 30 კაპეიკამდე.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევის და დარიგების 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^{1}/_{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ერთი საზიზღრობა

დღეს, როდესაც საზოგადოება გამოფხიზლებისა და თვითმოქმედების გზას დაადგა, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბნელ ძალებს, რომელნიც ამდენხანს პარპაშობდნენ, ახლა ეკარგებათ ნიადაგი და გავლენა. მოსალოდნელი იყო, რომ ეს ძალები ადვილად არავის დაუთმობდნენ თავის პოზიციას, მიმართავდნენ ყოველსავე ხერხს და იბრძოდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომ თავისი გაეტანათ. მოსალოდნელი იყო შეტაკება და შებრძოლება ისეთი, როგორიც საზოგადოდ ხდება ასეთ შემთხვევებში, ე. ი. შეტაკება პირდაპირი, გაბედული, მაგრამ განა ამ ძალებს ტყუილად დაარქვეს სახელად ბნელი ძალებიო? ისინი, ნაცვლად პირდაპირობისა, ბნელსა და საზიზღარ მოქმედებას შესდგომიან.

უკანასკნელ ხანში ბევრი პატივცემული პირები, რომელნიც ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებენ და რომელთაც სხვა-და-სხვა კრებებზე ლაპარაკის დროს თავისი მიმართულება და ფიზიონომია გამოააშკარავეს, რომელთაც მოურიდებლად და საქვეყნოდ განაცხადეს თავისი აზრები და, რაც დასაგმობად მიაჩნდათ, გულწრფელად დაჰგმეს და გაჰკიცხეს,—აი, ასეთი პირები, როგორც აქ, ტფილისში, ისე პროვინციაშიაც იღებენ უსახელო მუქარის წერილებს.

ჩემს წინ დევს ერთი ასეთი უსახელო წერილი, რომელიც ერთს ყველასაგან პატივცემულ პირს მოუვიდა.

„მოწყალეო ხელმწიფევ! ამით თქვენ გიცხადებთ, რომ უსათუოდ დაამოკლოთ თქვენი ენა, შესწყვიტოთ ყოველსავე საზოგადო ასპარეზზე მოქმედება, რადგანაც საზოგადოება არ საჭიროებს თქვენს მზრუნველობას. როდის მოგანდო თქვენ ხალხმა, რომ მის მაგიერ ილაპარაკოთ?! კმარა! გეყოფათ ამდენი თავხედობა! თუ კიდევ ასე განაგრძეთ, იცოდეთ, რომ ჯერ მოვკლავთ ყველა თქვენს შვილებს, ცოლს, ოჯახს დაგინგრევთ და მერმე შენ თვითონ გაგგზავნით საიქიოს".

წერილი რუსულად არის დაწერილი კარგის ენითა და სტილით, მხოლოდ ხელი მონგრეულია. არც რაიმე ბეჭედი აზის ამ წერილს და არც ვისგანმეა ხელმოწერილი.

ამაზე უფრო დიდი უნამუსობა და საზიზღრობა აღარც კი შეიძლება. მხოლოდ ზნეობით გათახსირებული და სულიერად ლატაკი ადამიანი—უკაცრავად, ადამიანი კი არა, ადამიანის ტანისამოსში გახვეული ვინმე საძაგელი „ხულიგანი", — თუ იკადრებს ასეთის ხერხით სარგებლობას და მოქმედებას.

სამწუხაროდ ასეთი წერილებით წინადაც სარგებლობდნენ ზოგიერთი პირები, მაგრამ, თუ ამ გამოფხიზლების დროს, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოება იწმინდება ათას სხვადასხვა სიბინძურისაგან, ეს სიბინძურე კიდევ დარჩებოდა ჩვენში და, მოსპობის მაგივრად, მიიღებდა ზემოდ აღნიშნულ ხასიათს, ამას კი ძნელად წარმოვიდგენდით. სამწუხაროა ასეთი ფაქტების აღნიშვნა, მაგრამ უფრო სავალალოა მათი არსებობა.

ეს წერილები, რა თქმა უნდა, არავითარ გავლენას არ იქონიებენ იმ პირებზე, ვისაც მიუვიდათ. ისინი ამით არ შესწყვეტენ თავისს შრომასა და მოქმედებას, მაგრამ მთელი ჩვენის საზოგადოების ვალდებულებაა, შევებრძოლოთ ამ საზიზღრობას, ვეცადოთ მოვსპოთ ეს ახირებული „ხულიგანობა" და სამარცხვინო ბოძზე მივაკრათ ასეთ უნამუსობაში შენიშნული პირები.

ფრიდონ.

* * *

რეფორმების მსვლელობა

ვშიშობდით, რომ 18 თებერვლის რესკრიპტით დაპირებული რეფორმები დროზე არ შესრულდება და, საუბედუროდ, ეს შიში ახლა თანდათან მართლდება.

მთელი თვის განმავლობაში ხალხი მოუთმენლად ელოდა ცნობებს იმის შესახებ, თუ რა კეთდება წარმომადგენელთა მოსაწვევად. ასე ეგონა ყველას, რომ მთავრობა ამ რეფორმის შესასრულებლად დროებით მაინც დაივიწყებს ყველა სხვა საქმეს, რომ ყველა მოინდომებს მთელ თავის ძალ-ღონეს ამ რეფორმების პრაქტიკულად განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნას! მთელი თვის განმავლობაში ამ საქმის შესახებ საზოგადოებაში სხვადსხვა ხმა დადიოდა. მოდიოდა ცნობები უცხოელ კორესპონდენტებისაგან, რომელთაც რუსეთის ბიუროკრატია მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე თვით რუსეთს. ამბობდნენ, უმაღლეს სამსახურის პირები იკრიბებიანო კერძოდ მოსალაპარაკებლად იმ პროექტების შესახებ, რომელიც არის გავრცელებული საზოგადოებაში, ამბობდნენ, ერობათა წარმომადგენლების მოწვევა უნდათ სათათბიროდ, და სხვა-და-სხვა.

ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული, საზოგადოებას უმალავდნენ ყველაფერს.

ხვალ ბიუროკრატია დიდი კაცის ტანისამოსს ჩააცმევს საზოგადოებას და ისე დაუწყებს ლაპარაკს, როგორც ძოზრდილს, მომწიფებულს, და დღეს კი ბავშვის ტანისამოსით ატარებს იმავე საზოგადოებას, უგუნურ არსებად ისახავს, რომელსაც არ გაეგება თავისი საჭიროება და რომლის მაგიერად უნდა იფიქროს და იმოქმედოს, ამიტომ, ბიუროკრატიამ.

მთელი თვის განმავლობაში მოუთმენლად ელოდა ხალხი და, აი, 18 მარტს გამოცხადდა, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ იკრიბებოდა და ირკვევდა საქმის შესახებ მასალა, მიღებული სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან. ის მასალა ნაირ-ნაირია, ერთმანეთში განირჩევა, როგორც დედა-აზრით, ისე წვრილმანებითაც.

ახლა მომავალ კრების თავმჯდომარემ გადასწყვიტა—დაანებოს თავი მასალის შეგროვებას და თვითონ შეადგინოს თავისი პროექტი წარმომადგენელთა შეკრების შესახებ. შემდეგ ამ პროექტს განიხილავს მინისტრთა კომიტეტი და მხოლოდ ამის შემდეგ შედგება ის კომსიია, რომელიც არის მოხსენებული უმაღლესს რესკრიპტში; შემდეგ საქმე გადავა სახელმწიფო საბჭოში, ისე რომ, «ნოვოე ვრემიას» გამოანგარიშებით თვით, წარმომადგენლების მოწვევა საკანონმდებლო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად 1906 წ. ზაფხულამდის მაინც ვერ მოხერხდება, ან შეიძლება გაისის შემოდგომამდის გადიდოს.

კიდევ წელიწად-ნახევარი! კითხულობ და არა გჯერა, რომ ნამდვილად ყველა ერთხმად გაიძახის, ასეთი ცხოვრება შეუძლებელი არისო. ამას ფიქრობს საზოგადოება, თვით ბიუროკრატია და მისი აზრების ნამდვილი გამომხატველი „ნოვოე ვრემია"; ყველას შეგნებული აქვს ახლანდელ წამის მნიშვნელობა, ყველას ესმის, რომ დაყოვნება არ შეიძლება, რომ საშიში ხდება მდგომარეობა და მაინც... წელიწად-ნახევარის მოცდა. მანამდის კი რა უნდა იყოს? ადმინისტრაციის თვითნებობა, გაძლიერებული დაცვის წესები, სრული უუფლებობა? მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხომ აუტანელი შეიქმნა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი ბიუროკრატიას არ შეუძლია. იმიტომაც იწვევენ ხალხის წარმომადგენლებს, რომ ერთბაშად გადაჭრან საქმე.

ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ცხოვრება ერთ ადგილას როდი იქნება გაჩერებული. ახლა მოვლენა მოვლენას საშინელის სისწრაფით მისდევს, საშიში გრიგალი ანადგურებს ყველაფერს გარშემო. ისეთია მდგომარეობა, რომ პატარა უმნიშვნელო მიზეზსაც შეუძლია ძირიანად შესცვალოს ცხოვრების მსვლელობა... ამ პირობებში წელიწად-ნახევრით რეფორმების გადადება 15-ს წლით გადადებას უდრის, რეფორმების უარ-ყოფას უდრის უთუოდ...

მაგრამ სხვა საბუთიც გვაქვს იმისთვის, რომ ამავე დასკვნას დავადგეთ. „ნოვოე ვრემიას" სიტყვით, „ისეთის სისწრაფით მიექანება წინ ამჟამად ხალხის ცხოვრება, რომ შეუძლებელია ახლავე სთქვას ადამიანმა, თუ რა მოხდება ამ წლინახევრის განმავლობაში." თუ ცხოვრება ასეთის სისწრაფით იცვლება, დღევანდელი მოფიქრებული რეფორმა იმ დროს სულ უმნიშვნელო გამოჩნდება ხალხისთვის.

ისტორია შეურყეველად ჰქმნის თავისს საქმეს და არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ცხოვრების ბუნებრივი განვითარება. სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობაა, ამნაირ დროში შეუწყონ ხელი ამ განვითარებას, რომ იგი თანდათანობის გზას არ ასცდეს და მიმდინარეობდეს მშვიდობიანად.

მაგრამ ამისთვის არის საჭირო მხნეობა, სურვილი და უკეთეს მომავლის იმედიც...

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

4 აპრილი.

ფორტ-დე-ფრანსი, 4 აპრილი. (მარტინიკა). რამდენიმე დღეა, მთიდან კვამლი ამოდის. მინდორში უნახავთ ცეცხლ-მფრქვეველი მთის ამონახეთქი.

რომი, 4 აპრილი. ნეაპოლს, სალერნოს, ფოდჟის, ფორლის და რომინში გუშინ რკინის გზის მუშათა გაფიცვა დაიწყო. დღეს, დილის ექვს საათზე, გადაწყვეტილია გაფიცვა დანარჩენ იტალიაშიაც. მთავრობას იმედი აქვს, მატარებლების მიმოსვლა ჯარის კაცების დახმარებით აწარმოვოს. რომის რკინის გზის სადგურზე გაიფიცნენ მხოლოდ მატარებლების მოსამსახურენი, დანარჩენები მუშაობას განაგრძობენ. გუშინ მატარებლების გასვლა დაგვიანდა რამდენისამე წუთით მხოლოდ იმიტომ, რომ მატარებლით აუარებელი ხალხი მიდიოდა და ამის გამო საჭირო გახდა ვაგონების მომატება. სადგურს ჯარი იცავს.

განჯა, 4 აპრილი. უმაღლესმა ბრძანებამ სომხების საეკლესიო ქონებათა შესახებ კანონის გადასინჯვაზე სომხეთა შორის დიდი სიხარული გამოიწვია. რადგანაც კათალიკოსის შუამდგომლობამ სასურველი შედეგი მოიტანაო. მაჰმადიანებიც აპირობენ შუამდგომლობის აღძვრას, რომ იმათაც დაუბრუნდეთ საეკლესიო ქონებანი, რომელიც, დიდი ხანია, ხაზინამ ჩამოართვა.

ბაქო. სარევიზიოდ გამოგზავნილი სენატორი კუზმინსკი ჩამოვიდა. კუზმინსკი შეეგებნენ მართველობა, ქალაქის წარმომადგენელნი და დეპუტაციები, რომელთაც პეტიციები მიართვეს.

პეტერბურგი, 4 აპრილი. გამოქვეყნებულია შეთანხმება დიდ-ბრიტანიასა და ლიუქსენბურგს შორის ფოსტით გასაგზავნ ფულის შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი ჩარიკინი ჭაკაში ელჩად დაინიშნა. ერევნის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბოკალო ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

მოსკოვი, 4 აპრილი. გაზეთების ცნობები, ვითომ მოსკოვის გუბერნიაში ხალხის მოძრაობა დაწყებულიყოს, ტყუილია. მაზრის მთავრობის ოფიციალური მოხსენებანი მოწმობს, რომ სოფლებში მშვიდობიანობაა.

ასხაბადი, 4 აპრილი. ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

სტამბოლი, 4 აპრილი. იემენში მოძრაობის გამოსაძიებლად და რეფორმების შემოსაღებად კომისია წავიდა.

რიგა, 4 აპრილი. ლიფლიანდიის გუბერნატორმა გამოსცა განცხადება, რომლითაც ის იწვევს გლეხკაცებს დაუბრუნდნენ მშვიდობიან მუშაობას, უხსნის მათ დღევანდელ მდგომარეობას, რა შედეგიც მოჰყვება პოლიციასა და ჯარის კაცებზე თავდასხმას. სამშაბათიდან ლანგეს ქარხანაში მუშაობა დაიწყო.

კიევი, 4 აპრილი. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის პროფესორთა საბჭომ გამოსთქვა აზრი, რადგან ამ წლის ნახევარში სწავლა არ იყო, სტუდენტები შესატან ფულისგან განთავისუფლებულ იქმნენო.

პეტერბურგი, 4 აპრილი. სამეცნიერო აკადემიამ კობეკოს კომისიას წარუდგინა მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ. აკადემიის ფიქრით, სანამ ცენზურის წესებს შეიმუშავებდნენ, საჭიროა დროებითი წესები შემოიღონ, რომ პრესა ახლავე განთავისუფლდეს შევიწროებისაგან.

ალჟირი, 4 აპრილი. ინგლისის მეფე-დედოფალი ნაპირზე გადავიდნენ, დაათვალიერეს მეჩეთი და მაჰმადიანთა მხატვრულ ნაწარმოებათა გამოფენა და გუბერნატორის სასახლეში საუზმეზე წავიდნენ.

რომი, 4 აპრილი. „პოპოლო რომანო" იტყობინება, ნეაპოლში გაიფიცნენ მხოლოდ მატარებლების მოსამსახურენი. მათ მაგივრად ჯარის კაცების ჩაყენებას სცდილობენ. ამ საქმისთვის რომში მზად არის 450 ჯარის კაცი.

პარიჟი. გამოცხადდა ოფიციალური შენიშვნა, რომელიც ამტკიცებს, რომ დელკასესა და ბერლინს შორის მაროკოს შესახებ მოლაპარაკება უკვე დაწყებულა. მარტინიკიდან იუწყებიან, ცეცხლ-მფრქვეველმა მთამ მონპელემ ამოხეთქა. გამოქვეყნდა მადრიდიდან მოსული დეპეშა: მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობისა გამო ბარცელონას გარნიზონის ორი კაპიტანი დაატუსაღეს. ამბობენ, ვითომც სამხედროთა საერთო შეთქმულობა იყოს, რომელსაც უმთავრესი გენერლებიც მხარს უჭერენო. სამხედრო მთავრობამ უარი სთქვა რაიმე ცნობების მიცემაზე.

რომი, 4 აპრილი. მილანსა და ტურინში რკინის გზის მოხელენი გაიფიცნენ. საზოგადოება და გაზეთების უმრავლესობა ამ გაფიცვას მტრულის თვალით უყურებს. პალატაში პრეზიდენტმა განაცხადა, გაფიცვის გამო გასაფრთხილებელი ყოველივე ზომები იქმნა მიღებული.

ბერლინი. იუწყებიან, გერმანიის ელჩთან სადილად ყოფნის დროს დელკასემ განაცხადა სურვილი მეორე დილით ელჩთან მისვლისა მაროკოს შესახებ მოსალაპარაკებლად. პარასკევს დელკასე გერმანიის ელჩთან იყო და პირდაპირ ესაუბრა. საკითხის დაწვრილებითი განხილვა მაინც არ მოხდა.

განჯა. აქ ცნობა მოვიდა თავისუფალ ადგილებზე რუსებს აღარ გადმოასახლებენო.

ჰელსინგფორსი. სენატის შუამდგომლობა ჰელსინგფორსში საისტორიო-საარქეოლოგიო მუზეუმის დაარსების შესახებ უმაღლესად ნებადართულ იქმნა.

რიგა, 2 აპრილი. შუადღისას, ქალაქის შუაგულ ნაწილში, ხიზანოვსკისა და კანტერის საკომისიონერო კანტორაში (ცხის ქუჩა, 30) შევიდა სამი სუფთად გამოწყობილი უმაწვილი კაცი, ერთს სასამართლოს მოხელის ტანისამოსი ეცვა და ხავერდის ნიმუშები მოითხოვეს. კანტორაში ამ დროს მხოლოდ კანტორის შეგირდი იყო, რომელმაც ისინი მეორე ოთახში გაიწვია. უმაწვილი ერთ ამათგანს გაჰყვა ორნი კი მისაღებ ოთახში დარჩნენ. როდესაც უმაწვილი მოთხოვნილ საქონელს აჩვენებდა, მისაღებ ოთახში დარჩენილნი ჩუმად მიეპარნენ ბავშვს, თავზე ტომარა ჩამოაცვეს, შეჰკრეს, გარეთ გამოვიდნენ და კარები გამოიკეტეს. როდესაც კანტორის პატრონი მოვიდა, ნახა, რომ ერთი დიდი ჩანთა სადღაც გამქრალიყო. ჩანთაში 57 რევოლვერი ეწყო. გამძარცველნი ვერ აღმოაჩინეს.

ლონდონი. გრაფმა ბენკენდორფმა დღეს ლანსდოუნი ინახულა და 20 წუთის განმავლობაში ესაუბრა.

ბერლინი. გაზეთების ცნობა, ვითომ ხმელთაშუა ზღვაზე იმპერატორი ვილჰელმი და ინგლისის ხელმწიფე ერთმანეთს ინახულებენო, ტყუილია. დელკასეს განცხადება იმის შესახებ, რომ მაროკოსთან ხელშეკრულობას საფრანგეთის ბერლინელი ელჩი გერმანიის მთავრობას ოფიციალურად შეატყობინებსო, ჯერ არ აუსრულებიათ. დელკასეს ეს საქციელი იმითი აიხსნება, რომ მეორედ შეკითხვაზე დასაბუთებულ პასუხის თავიდან აცდენა უნდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან).

4 აპრილი.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშები ხელმწიფისადმი, 3 აპრილის თარიღით: 1) „ლაშქრებში ცვლილება არ მომხდარა. 29 მარტს, დილის 11 საათზე, ჩვენის მარცხენა ფრთელის რაზმმა მტერს სროლა აუტეხა სოფ. იუხულესთან, სოფ. მეიანის აღმოსავლეთით 7 ვერსის მანძილზე. მტერს პოზიციად ჰქონდა ამ სოფლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქედი. 11 საათზე ჩვენებმა ზარბაზნები დაუშინეს იაპონელებს; ქვეითა ჯარი სამმარ რიგზე ჩამწკრივდა. 11 ½ საათზე მტერმა დაიწყო ქედის დაცლა და ჩვენს რაზმსაც ებრძანა—წინ წასულიყო, რომ შემდეგი უღელტეხილი დაეჭირა. შეავიწროვეს რა მტერი, ჩვენებმა შემოუარეს გარშემო მისს ფრთელს და მიაღწიეს სოფელ მეიანამდე. მტერმა ნანცაიმუხელისაკენ დაიწია, მეიანიდან 3 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთად. შემდეგი მოხსენება ამ რაზმის მოქმედების შესახებ არ მიმიღია". 2) „ჩვენმა რაზმმა 29 მარტს მტერს პოზიცია დააცლევინა იუხულესთან, შეავიწროვა, სდევნა იგი და სოფელ მეიანამდე წინ სვლა არ შეუჩერებია. იაპონელებმა მეიანის დასავლეთად პოზიციად დაიჭირეს ქედი და უღელტეხილი ნანცაიმუხელთან, მაგრამ აქაც აიძულეს ჩვენებმა და დააცლევინეს. უღელტეხილზე 35 სანგარი აღმოჩნდა. უკან დაწევის დროს იაპონელებმა ნანცაიმუხელთან დასწვეს ნუზლ-სანოვაგის დიდი საწყობი. 30 მარტს ხსენებული რაზმი ერხელთან შეხვდა სიავაიძისა და ალუხადიში დაბანაკებულს იაპონელ ქვეითებს, რომელთაც ორი ტყვიის მფრქვეველი ჰქონდათ. ჩვენებმა არტილერია დაუშინეს და ერთი ნაწილი მტრის პოზიციაზე ავიდა; ამ პოზიციაზე მდგომ იაპონელ ქვეითებს 5 ტყვიის მფრქვეველი ჰქონდათ. იაპონელებმა თავგანწირული და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს".

პარიზი, 4 აპრილი. (ჰავასი). საზღვაო მინისტრს ადმირალ ფურნიესთან ინდო-ჩინეთის ნაპირების დაცვის შესახებ ბჭობა ჰქონდა. ფურნიე ამტკიცებს, მათი დაცვა მხოლოდ წყალ-ქვეშ მავალ ნავებით შეიძლებაო. გაზეთების სიტყვით, საჭირო იქნება ათი ნავი, რომელიც ეღირება 15 მილიონი ფრანკი.

ადესა, 4 აპრილი. ნიკოლაევის გემების აღმშენებელ ქარხანაში თითქმის უკვე მზად არის 3 ნაღმოსანი. თითოეული 350 ტონისა, 2 კრეისერი, თითოეული 6000 ტონისა და 2 მექანიზმი ჯავშნიან გემებ „იოან ზლატოუსტ"-ისა და „ევსტაფ"-ისთვის.

საიგონი, 4 აპრილი. ადმირალი ჟონკიერი გემ „ტაკენით" შეუერთდა კრეისერს „დეკარტს" კამრანის ყურეში, რომლის მიდამოებშიაც რუსის რამდენიმე გემია. ფრანგების სავაჭრო სახლმა საიგონში იყიდა გემი „ერინსდანი". ეს გემი დღეს საღამოზე ზღვაში გავიდა და რუსის ესკადრისთვის საქონელი წაიღო. რაც რუსის ესკადრა ევროპიდან წავიდა, 18000 კაციდან სულ 8 კაცი დააკლდა. რუსის მატროსი, რომელიც გემიდან გადავარდა, მალაკის ყურეში წყლიდან ამოიყვანეს და საიგონში მიიყვანეს. ერთი რუსის აფიცერი ბერი-ბერით გახდა ავად და საიგონის საავადმყოფოში დააწვინეს. იაპონელებმა დაიჭირეს რამდენიმე ნახშირის მტვირთავი. ის ცნობა, ვითომ საავადმყოფო გემ „ორიოლ"-ზე დაჭრილები იყვნენ, ტყუილია, რადგან ჯერ ბრძოლა არ ყოფილა. „ორიოლ"-ზე ავადმყოფთა შორის არის თავადი კანტაკუზენი. ექვსი კაცი, რომლებიც იაპონელები უნდა იყვნენ, ჯონკით მივიდნენ სენ-მაკის კონცხთან, ნაპირზე გადავიდნენ და უკანვე დაბრუნდნენ.

ჰონგკონგი, 4 აპრილი. (რეიტერი) დღეს დილით მოვიდა გერმანიის გემი „ბრუნჰილდა" და სთქვა, 1 აპრილს კოხინხინაში პადერანას კონცხის ჩრდილოეთით რუსის სამმა კრეისერმა 2 საათით შეგვაჩერაო. რუსის 35 გემი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა. როგორც ეტყობა, რუსის ფლოტი კარგს მდგომარეობაშია. აქ დაბეჯითებით ამბობენ, ბალტიის ესკადრის ნაწილი ჰონგკონგის ჩრდილოეთით სრუტეში სდგასო.

5 აპრილი.

ამოი. რუსეთის ესკადრას იაპონელები ამოის მახლობლად დიდხანს სდარაჯობდნენ. ჩინელმა მოხელეებმა აღმოაჩინეს მედიკამენტების დიდი საწყობი. იაპონელებმა საიდუმლოდ შეიძინეს პატარა კუნძულ ვალეის ერთი ნაწილი. ეს კუნძული თვით ამოის ნავთსადგურში სძევს.

ლონდონი. ის ხმა, რომ იაპონელებმა შეიპყრეს რუსების ნახშირის მზიდველი გემებიო, „ლოიდ"-ს მაგრე რიგად არა სწამს. ასეთი შემთხვევა მართლა რომ დიდად საყურადღებო ცნობა იქნებოდა. მართალია, რუსების ნახშირის მზიდავ გემების დაჭერა იაპონელების პირველი მიზანია, მაგრამ მათი შეპყრობა უბრძოლველად არ შეიძლებოდა და ამ ბრძოლაზე კი არაფერი ისმისო.

პეტერბურგი, 4 აპრილი. საღამოს 11 საათზე მესამე არმიის სარდალი ბატიანოვი შორეულ აღმოსავლეთს წავიდა.

სინგაპური, 4 აპრილი. გემმა „დევანსონ"-მა 2 აპრილს ვარლეის კონცხის ახლოს ბალტიის ესკადრის ნაწილს წინ გაუსწრო.

ლონდონი. ტოკიოდან დეპეშით იტყობინებიან იაპონიის მთავრობის ოფიციალურ განცხადების შინაარსს. 2 აპრილს ბალტიის ესკადრა უნახავთ კამრუგის ნავთსადგურში, ანნამის ნაპირებზე, საიგონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

კორესპონდენტების დეპეშები. ხარბინიდან „რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ: ამბავი მოვიდა, იაპონელთა მოწინავე რაზმები გირინს უახლოვდებიანო. ჩინელები ამბობენ, იაპონელებს ყოველ-დღე მაშველი ჯარი მოსდითო (რ.).

„ბირ. ვედ."-ს პარიზიდან აუწყებენ: ტოკიოდან მოსულ დეპეშიდანა სჩანს, რომ იაპონელები, თუ საჭირო იქნება, ერთ მილიონ ჯარს გადაიყვანენ მანჯურიაშიო. საფრანგეთის პრესსა ამ ცნობას ეჭვით უცქერის და სწერს: სულაც საჭირო არ არის იაპონიიდან მანჯურიაში ერთ მილიონ სალდათის გადაყვანა. საკმარისია 500—600 ათას კაცის გადაყვანა, რასაც იაპონია, უეჭველია, მოახერხებსო (ნ. დ.).

„ნოვ. ვრ."-ს კორესპონდენტი ოლგინსკი ხარბინიდან იუწყება: ხმა დადის, იაპონიაში 6 დივიზიას აგროვებენო. ეს ჯარი სახალინისა და ვლადივოსტოკის ასაღებად უნდათო. ჩინელები ირწმუნებიან, ვითომ იალუს არმია პირდაპირ რკინის გზაზე აპირობდეს ამოსვლას, მეორე არმია—30 ათასი კაცი—ვლადივოსტოკს გზის მოჭრას უპირობდეს. ჩვენის ჯარის წინ არავინ მოსჩანს. იაპონიის ჯარი სადღაც გადიკარგა, მიიმალა. ეს მოვლენა ჩვენ ძალიან გვაფიქრებს და გვაოცებს. პირადად ჩემის აზრით, გირინისა და ნანგუტის მხრით საიმისო საფრთხე არ მოგველის, დასავლეთით—ბოდუნესა და ციციკარის მხრით კი, პირიქით, დიდი საფრთხე მოგველის. ეხლა ყველაფერი საზღვაო ომზეა დამოკიდებული («ნ. ვ.»).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა ისევ წინ მიდის და თანდათან კუნძულ ფორმოზას უახლოვდება, სადაც ადმირალი ტოგო იმყოფება.

ამას წინად იაპონელებმა გამოაცხადეს, კილუნის ნავთსადგური უცხოელთა გემებისთვის დაკეტილი იქნებაო. ამ განკარგულების შესახებ საზღვაო საქმის მცოდნე ფრანგები ამბობენ, ეს ნამდვილი იაპონური ხაფანგიაო. ზემოხსენებული ნავთსადგური კუნძულ ფორმოზას ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს. იაპონელებს უნდათ რუსები დაარწმუნონ, რომ ადმირალ ტოგოს თავშესაფარი-ბაზა ფორმოზას ჩრდილოეთ ნაპირებზეა, ნამდვილად ადმირალი ტოგოცა და იმის ესკადრის თავშესაფარიც ფორმოზას სამხრეთ ნაპირებზეა (ნ. დ.).

საკვირველი ის არის, რომ ადმირალ როჟესტვენსკის მოძრაობის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იბეჭდება, ტოგოს ესკადრისა კი არავინ არაფერიც არ იცის. „რუს"-ის კორესპონდენტი ამის შესახებ ბერლინიდან იუწყება: ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის მოძრაობის შესახებ აუარებელი დეპეშა და ცნობა იბეჭდება, ადმირალ ტოგოს შესახებ კი კრინტიც არავის დაუძრავს. როცა როჟესტვენსკის ესკადრა სინგაპურს დაუპირდაპირდა, კორესპონდენტები ნავებში ჩასხდნენ და ესკადრის სანახავად ზღვაში გავიდნენ. წინად კი, როგორც ნამდვილ წყაროებიდან მატყობინებენ, იაპონიის ესკადრა ძალიან ხშირად ადგებოდა სინგაპურს, კუნძულ ცელებესსა და ბორნეოს, მაგრამ ამ ესკადრის სანახავად და დასათვალიერებლად არც ერთი კორესპონდენტი არ გასულა ზღვაში. რეიტერის სააგენტოს პეტერბურგელი კორესპონდენტიც აუარებელ ცნობებს იძლევა, ტოკიოელი კი—თითქმის არაფერს. აქ, გერმანიაში. ყველა პოლიტიკური საქმე დაივიწყეს და მხოლოდ მომავალ საზღვაო ბრძოლაზე ლაპარაკობენ. გერმანიის საზღვაო შტაბი ორ ბანაკად გაიყო: ერთი ამტკიცებს, ადმირალი როჟესტვენსკი გაიმარჯვებსო, მეორე კი—ადმირალი ტოგოო. ტოკიოდან იუწყებიან, ადმირალი როჟესტვენსკი ეცდება ტოგოს მოერიდოს, საჩქაროდ ჩინეთის ზღვაში ავიდეს, იქიდან მარჯვნივ, ფილიპინის კუნძულებისკენ, გადაუხვიოს და ვლადივოსტოკში ავიდესო. ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, ადმირალი როჟესტვენსკი თვითონ არ შეებრძოლება ტოგოს, სადმე თავშესაფარს გამოსძებნის, ფლოტს შეაკეთებს, კარგად მოემზადება და მერე შეებრძოლება იაპონელებსაო. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ტოგო ყოველნაირად ეცდება როჟესტვენსკის სანახშირე გემები დაუღუპოს, რუსეთის ესკადრა უნახშიროდ დასტოვოს და ამრიგად როჟესტვენსკი უბრძოლველად დაამარცხოსო («რ.»).

რუსეთისა და იაპონიის ესკადრების ძალა. ვიცე-ადმირალმა ვალუამ ადმ. ტოგოსა და როჟესტვენსკის ესკადრების ძალა გამოიანგარიშა. ადმირალ ტოგოს ფლოტის საერთო წყალ-რწყვა 205 ათას ტონნას უდრის. აქედან 72 ათას ტონნას ჯავშნოსნები იწონიან. ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის საერთო წყალრწყვა 252 ათას ტონას უდრის. აქედან ჯავშნოშნებზე მოდის 120,500 ტონნა. ამრიგად, რუსეთის ფლოტი იაპონიისაზე ძლიერია, რადგან ჯავშნოშნების წყალ-რწყვა იაპონელებისაზე 50 ათას ტონნით მეტი აქვთ. მაგრამ მხედველობაში ისიც უნდა ვიქონიოთ, თუ რამდენად მოემზადნენ როჟესტვენსკის მეზღვაურები, და თუ მოემზადნენ, შეედრებიან და გაუმკლავდებიან თუ ვერა ადმირალ ტოგოს მამაცსა და მედგარ მეზღვაურებს, რომელნიც 14 თვის განმავლობაში ბრძოლის ქარცეცხლში განვითარდნენ და გაიწვრთნენ (რ. ვ.).

ისევ ომი სჯობია ზავს. „ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძემ ხელმწიფე იმპერატორს თავის კომისიის გამოკვლევა წარუდგინა. დიდ მთავარს უნდა გამოეკვლია, შესაძლებელია თუ არა ომის გაგრძელება, არის და იშოვება თუ არა ამისთვის საჭირო მასალა, იარაღი, ფული, და შეიძლება თუ არა რუსეთმა მომავალში გაიმარჯვოსო. ომის მოთავე ბიუროკრატებმა ახალი თეორია შეჰქმნეს, რომლის ძალითაც „აუცილებლად საჭიროა ომის გაგრძელება", რადგან რუსეთი შემდეგშიაც რომ დამარცხდეს, არა უშავს-რა, იაპონია კი თანდათან ილევა, იქანცება და ბოლოს და ბოლოს ომის სალარიც და ძალაც უნდა გამოელიოს. რუსეთი იმ დრომდე იომებს, სანამ თვითონ იაპონია არ მოითხოვს ზავსა. შინაური საქმეები, სულ ყირამალაც რომ გადატრიალდეს, მთავრობას ზავის ჩამოგდებას ვერ აიძულებს! (ნ. დ.).

რუსეთის „წიგნი". ყოველი განათლებული და საკონსტიტუციო სახელმწიფო წლის დამლევს ოფიციალურ წიგნს გამოსცემს ხოლმე, რომელშიაც ჩამოთვლილია გარეშე პოლიტიკისა და სხვა საქმეების გასამართლებელი და მარტებელი საბუთები. ამას წინად ამგვარი წიგნი იაპონიამაც გამოსცა. ეხლა რუსეთიც აპირებს იმ დოკუმენტებისა და მოლაპარაკების ისტორიის წიგნს, რომელმაც უნდა ახსნას რუსეთ-იაპონიის ომის მიზეზი.

რუსეთის მთავრობამ ამ წიგნის შედგენა ტოკიოში ელჩად ნამყოფს ბარონ როზენს მიანდო. (ნ. დ.).

პორტ-არტურის ისტორიიდან. პორტ-არტურის ერთ-ერთ რესტორანის პატრონმა „ოდ. ნოვ."-ის თანამშრომელს შემდეგი უამბო: იაპონელებმა აიღეს თუ არა პორტ-არტური, ყველა რესტორანები გაავსეს. რესტორანის პატრონთ ეგონათ, იაპონელები ყველაფერს დაიტაცებენო, და თავის ბარგი-ბარხანის დამალვა უნდოდათ, მაგრამ იაპონელებმა შეატყობინეს, ნუ გეშინიანთ, მშვიდად იყავით, არავინაც არ გახლებთ ხელსაო. აფიცრებმა სთხოვეს, რაც კი იაპონელ სალდათებმა მოგთხოვონ, მიეკით და, სამაგიეროდ, განსაკუთრებული მარკები გამოართვითო. მერე ეგ მარკები პორტ-არტურის იაპონელ კომენდანტს მიუტანეთ და ფულს მიიღებთო. საკვირველი ის იყო, რომ იაპონელი სალდათები აფიცრებს სულ არ ერიდებოდნენ და იმათთან ერთად სჭამდნენ, სვამდნენ და გულიანად ლაპარაკობდნენ. სამ დღეს ვაჭრობა მშვენიერად მიდიოდა. ჩემთვის არავის არაფერიც არ უწყენინებია. ყველა ზრდილობიანად მექცეოდა. ძალიან არავინ არ ითვრებოდა. სამ დღეში ბევრი მარკები შევაგროვე; ეს მარკები იაპონიის კომენდანტს წარვუდგინე, ფული მივიღე, რესტორანი სხვას გადავეცი და რუსეთისკენ გამოვწიე. (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 5 აპრილი. **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვი კავკასიისკენ ნახალკვირევს გაემგზავრება. გამოირკვა, რომ თვით ნამესტნიკის სურვილზე იქმნება დამოკიდებული სათათბირო კრებისთვის ხალხის წარმომადგენელთა არჩევა; შესაძლოა, თვით თათბირიც მთელის კავკასიისთვის საერთო არ იქმნეს და მხოლოდ აქა-იქ მოიწვიონ ადგილობრივი სათათბირო კრებები.**

ახალი ამბავი

◆ გუშინ, ხუთს აპრილს, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **შესწყდა ყოველივე მიმოსვლა** მატარებელთა, როგორც სახალხო, ისე საქონლისა, **რადგანაც მემანქანენი, მათი თანაშემწეები, მეისრეები და გზის დარაჯები გაიფიცნენ.** ამ დღის ფოსტა და ჯალალ-ოღლში გაგზავნილი კაზაკთა მთელი რაზმი გზაში დარჩა.

◆ გუშინ, 5 აპრილს, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი **ივანოვსკი** მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელ გენერალ **მალამასთან იყო, იმ ზომების გამოსარკვევად,** რომელიც მიღებულ უნდა იქმნას მთელ გზაზე მომხდარ გაფიცვის მოსასპობად.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, შაგალი-ელიარის თოფის წამლის საწყობი ვიღაცეებს გაუტეხიათ და **წაუღიათ 2 ფუთი და 38 გირვანქა ნაღმი 120 მანათისა, 310 არშინი** პატრუქი და 339 კასრული.

◆ სოფ. გურამიანთ-კარიდან გვატყობინებენ, მემამულის სტაროსელსკის თხოვნით, **ამ დღეებში იქ ჩასულა ერთი როტა ჯარი.**

◆ თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების დადგენილებით, **თავად-აზნაურთა საზოგადო კრების გაგრძელება** განუსაზღვრელ დროისათვის გადაიდო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას პეტერბურგიდან **შემდეგი დეპეშა მოუვიდა:** დღეს, საზოგადო დარბაზობის დროს, წარვუდექით 18 თებერვლის რესკრიპტის აღმასრულებელ საბჭოს თავჯდომარეს, გოფმეისტერს ბულიგინს. ბაქოელებისა, ერევნელებისა და ჩვენი შუამდგომლობა, რომ მინისტრმა მიგვიღოს ისე დღეს, უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა. მინისტრმა მოისმინა ჩვენი მოხსენება და გამოგვიცხადა, საბჭოს კრებული თვით ხელმწიფე იმპერატორისმიერ იქმნება დანიშნულიო. საბჭოს კრება მრავალ-რიცხოვანი არ იქმნება, მაგრამ, რადგანაც თქვენი მხარე განსაკუთრებულ პირობებშია, შესაძლებელია, მოწვეულ იქმნენ კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებიც, თუ ყველა ქალაქისა არა, ზოგიერთის მაინცაო. **ხელს აწერენ გენ. ოსტროგორსკი, თავ. მიქელაძე და ალ. არღუთინსკი.**

◆ ორშაბათს, 4 აპრილს, «მშაკის» რედაქტორმა მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწეს, **ბ-ნ სულთან-კრიმ გირეის, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:** „აქ ამჟამად ლიტერატორები ძლიერ შეაფიქრიანა იმ ხმებმა, ვითომც კობეკოს თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია ყოყმანობს, მისცეს თუ არა არა-რუსთა პრესსას თანასწორი უფლება რუსულ პრესასთან. ყოველი უთანასწორობა ღრმად შეურაცხჰყოფს ადგილობრივ ლიტერატორთა წრეს და დაამახინჯებს ადგილობრივ პრესსის ფიზიონომიას. ლიტერატორთა წრე, რომელიც თქვენ თანაგიგრძნობთ, ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენ, თქვენის მხრივ, დაგვეხმარებით და ყოველსავე უთანასწორობას და უსამართლობას თავიდან აგვაცილებთ".

◆ გუშინ, 5 აპრილს, ტფილისის საბჭოს დარბაზში **სამიკიტნოებისა და რესტორანების პატრონთა კრება იყო.** დიდი თათბირის შემდეგ, დაადგინეს: ყველა სამიკიტნოები და რესტორანები ზამთრობით გაიღოს დილის 7 საათზე და დაიხუროს ღამის 10 საათზე, ხოლო ზაფხულში გაიღოს დილის 6 საათზე და დაიხუროს საღამოს 10 საათზე. კვირა-უქმე დღეებში ყველა სამიკიტნო-რესტორანები უნდა დაიხუროს მთელის

ფელეტონი

სურათი.

ცა მოწმენდილა, ლურჯ კამარაზე
აქა-იქ მოჩანს თეთრი ღრუბელი,
ცხელა. ჰაერი შეხუთულია,
მიყუჩებულა ძირს მთა და ველი!
ნიავი არ ჰბერს, ტყე არ ინძრევა,
ვერხვს დაუშვია დაბლა ფოთოლი,
კორდი სიცხისგან შეწითლებულა
და ამომხმარა მინდორზე მოლი!
არსად ფრინველი, არსად სიცოცხლე,
შეფარებიან ყველანი ჩრდილს
და თვითონ წყაროც აშურებს ტყისკენ,
რომ იქ, ხის ძირში, გული იგრილოს.
მხოლოდ ქედანი, კაეშნიანი
შორს, შორს ჭალაში ტირის, ღუღუნებს
და შარა გზაზე მოჩანს ვიღაცა,
ჩქარი ნაბიჯით მოდის, აშურებს.

* * *

ტრიალ მინდორზე, ყანების შუა,
დგას დიდი მუხა, ტოტებ გაშლილი,
და ქოლგასავით გადაუშლია
შორით-შორამდე თავისი ჩრდილი.
მის ქვეშ მომკელი წამოწოლილა,
აქ დაუდგია ბინა მუშასა,
ტყუილად არ თვლიან წმინდა ადგილად
ამ მიდამოს და თვითონ მუხასა.
ღესავს ნამგალსა, ღესავს ჩუმათ,
ჩაფიქრებული, დაღონებული,
და თავის ქოხმახს თავს დასტრიალებს
მისი ნაღველი, იმისი გული!
გაშავებულა მისი გულ-მკერდი,
დაღარულია იმისი სახე
და მის თვალებში აღბეჭდილია
მწარე ცხოვრება და სივაგლახე!

* * *

— გამარჯობა, ძმავ!—მოესმა მომკელს,
— შენც გაგიმარჯოს!—ახედა მოსულს
და ერთხანს თვალი აავლ-ჩაავლო
ტანწამოსადეგს და მხრებში მოსულს.
— სად ყოფილხარ? მოდი გრილოში,
გემჩნევა შენც-კი, რო დაგცხომია;
შენ დარაჯი ხარ, იქ ხო არ იყავ,
სადაც სისხლის ღვრა, მწარე ომია?
ახლად მოსულმა მოიხსნა თოფი,
მოიხსნა გუდა, დაგდო ძირსა,
ჩამოიწმინდა სახეზე ოფლი
და გამოუწვა ისეც ხის ძირსა.
— არა, იქ არა, აქ გამომგზავნეს
შენთან, უფროსთან უნდა მოხვიდე
და იცოდე რო, გაფრთხილებ ეხლავ,
არ გაჯიუტდე, არ ამიხირდე!
ეტყვა მომკელს.—რათა, რისთვის,
მე აქ ყანას ვმკი, არა მცალია,
წასვლა და მოსვლა ჩემი ნებაა,
ვის შეუძლიან, განა ძალია?!
— როგორ თუ ვისა! მე გამომგზავნეს,
ის არის ხალხის მეთაური
და ის აჯანყებს სოფელს, გლეხობას,
არ სურს ბატონის სამსახურიო!
— მართალია, თვითონ გასინჯე,
გვეყოფა ტანჯვა, აივსო ჭიქა,
ვეღარ შეგვაშინებ ვერა უღელში,
გვეყო, რაც წელი მათთვის იზნიქა!
გცხვენოდეს ვაჟკაც, რომ იარაღით
ნამგლის ამარა მოხვედ მომკელზე,
გცხვენოდეს თვითონ, ოდესღაც მუშას,
რო მცველი ბატონზე, რო მცველი მე სხვაზე
— მე ეგ არ ვიცი, ადგ გამომყე,
მე მათ ბრძანებას მტკიცედ ვასრულებ,
და მაგ შენს სიტყვას ახირებულსა
ყურს არ ვათხოვებ, ყურს არ დავუგდებ!
— რა გინდა, ძმაო, რას წამომადექ?
თუ ჩრდილი გინდა, ემანდ იჩრდილე,
თუ პური გშიან, შენც კი გაგაძღობ,
მერე თუნდ წადი, თუნდ დაიძინე.
— რას ბოდავ ერთი! გუდა-ნაბადი
წამოიკიდე: გასწიე წინა,
ვიდრე მათრახმა არ შეგახურა
და ამ ჩემ თოფმაც არ დაიგმინა.
— შენ ცდები, ძმაო, მოდი, თუ გინდა
გავინაწილოთ ოფლი, ნაშრომი;
მითხარ, შენ რაში გამოგადგება
შენსავე ძმასთან ძალა და ომი!
ეგ თოფიც, რკინა, ვხედავ, კარგია,
ნამგლათ ან ცელათ გამოგვადგება;
სამაჯურები და საცერული,—
ბიჭო კარგი ხარ,—და მოგიხდება!
— გეყოფა-მეთქი ჩემი ურჩობა!
თვითონ უფროსმა მიბრძანა ასე:
გაძალიანდეს—არ დაერიდო,
როგორც ძაღლიო, მოკალი გზაზე!
სთქვა ეს თუ არა, თოფი აიღო,
ფეხზე წამოდგა, წამოიძახა:
— ადექი ჩქარა, გამომყევიო!—
წიხლი წაუსვა და დაუყვირა.
— გამომყევიო?! განა ძაღლი ვარ!
და გაიელვა უცებ ნამგალმა,
დაიგრიალა ჰაერში თოფმა,
ხმა მისცა ტყემ, ხმა მისცა ბარმა!

* * *

ცა მოწმენდილა, ლურჯ კამარაზე
აქა-იქ მოჩანს თეთრი ღრუბელი,
ცხელა, ჰაერი შეხუთულია,
გაუჩუმებულა ძირს მთა და ველი.
ტრიალ მინდორზე ობოლი მუხა,
ტოტებ-გაშლილი მოსჩანს თამამი
და იმის ჩრდილში მისვენებულა
ორი დაჭრილი, უსულო გვამი.
ნიავი არ ჰბერს, ტყე არ ინძრევა,
ყანას თავთავი დაუხრია ძირს;
მხოლოდ ყორანი თავს დასტრიალებთ,
ჩხავის და ყორნებს აქეთ ეძახის!

ი. ევდოშვილი.

ზაფხულის წვიმა

(ლექსისებური)

ზეცა, აქა-იქ ღრუბლით მოსილი, გულ-გრილად დასცქერს ძირს დედა-მიწას, და ქვეყანა კი, ცეცხლ-მოდებული, ნაღვლიან სახით შეჰყურებს ზეცას. ძლიერი გვალვა მეფობს ყოველგან, დაჭკნა, დასკდა პირ-კანი მიწის, მოწყენილობა დაეტყო ფოთოლთ, სისხლ-ფერი ფოჩი ჩააჭკნდა სიმინდს, მდინარეებში წყალმა მოიკლო და მინდვრად ბალახს ჩაუჭკნდა ძირი,—ღონე მიხდილი ცხოველივით ხვნეშს, ასდის და ასდის მიწას ალმური....

საფიქრებელში ჩავარდა ხალხი, ტანჯვა თანდათან უორკეცდება... მას შიმშილობა მოელის დიდი....

ზეცა, მრავალ-ფერ ღრუბლით მოსილი, ვითომდა წვიმას, ნამს გვპირდებოდა, მაგრამ იმედი გვიცრუვდებოდა... ჯერ წვიმა ყანებს არ პკურებია...

ხალხი ტანჯული, მუდამ მონა, მუდამ მორჩილი, მიმხვდარა უკვე ცხოვრებისა უკუღმართობას, და თუ წინად ის ხელ-გულ დაკრებით იხვეწებოდა—დღეს ბობოქარი, ბრაზ-მორეული, შეუპოვარი ხმა მისი ისმის:

„ჩვენ, მუშა ხალხი, ქვეყნის მრჩენელი, წვიმას მოვითხოვთ—წვიმას, რომელიც გააცხოველებს, სინედლეს მისცემს ქვეყანას გამშრალს...

ჩივილი ხალხის თითქო არ ისმის... წვიმის არა სჩანს არსად ნასახი, პასუხად იმის თავ-ზარ დამცემი ქექა-ქუხილი და ხან ელვებს...

თხოვნა რომ არ სჭრის, ბობოქრობს ხალხი, ზანზარებს მიწა—და ხმა გაისმის უფრო მკაცრი, უფრო მკვირცხლი, უფრო მედგარი:—„ნუ თუ არ ხედვენ ამდენ ჩვენს ტანჯვას?"—ბუნება ითხოვს წვიმას, სიცოცხლეს, სიცხე-გვალვისგან თავისუფლებას,—რატომ გვაკლია?"...

— ცა კვლავ გულ-გრილობს, კვლავ ქინიანობს, ღრუბელთა გუნდნი მიდი-მოდიან, ქექა-ქუხილი კვლავად გაისმის, მხოლოდ წვეთიც კი არ სჩანს წვიმისა, დედამიწა წუხს, ცეცხლი ედება,—ნაღველ-რეული კვლავ შველას ითხოვს, თხოვნა რომ არ სჭრის, ღრიალებს, შფოთავს, უცნაურ ძალით აცხადებს ბრძოლას.

ბ. გელა.

ერთი ძიძის ისტორია.

(დოროშევიჩისა)

ხოა-ტული-ჩი-სან-ხე-ნუნი უწოდეს ბოღდიხან ძინგ-ლი-ოს, რაც ნიშნავს თვით სიმართლეს. ერთხელ ძილის შემდეგ ბოღდიხანი რაღაც ცუდ გუნებაზე შეიქმნა.

— ბოღდიხანი ავად არის!

დაიწყეს სასახლეში ლაპარაკი. ბევრი თავს აღარც კი უკრავდა პირველ მინისტრს. სასახლის მგოსანმა ტახტის მილოცვის ჰიმნი უძღვნა ბოღდიხანის მემკვიდრეს.

შიშისაგან ათრთოლებულმა საუკეთესო ექიმბაშებმა გამოიკვლიეს, მოწიწებითა და მუხლ-მოდრეკით, ბოღდიხანის უქეიფობა; გულ-გახეთქილები ერთმანეთს რაღასაც ეჩურჩულებოდნენ. ბოლოს უფროსი ექიმბაში გაერთხო მბძანებლის წინ და წარმოსთქვა:

— კაცობრიობის ნუგეშო, ნებას მომცემ, მართალი მოგახსენო!

— სთქვი!—დართო ნება ბოღდიხანმა.

— ჭეშმარიტად შენ ცის შვილი ხარ,—უთხრა უხუცესმა ექიმბაშმა,—გამოუთქმელის მოწყალების გამო ხანდისხან ერევი კაცთა წრეში და ინებებ ხოლმე გახდე ავად იმისთანა სენით, რომლითაც უბრალო მოკვდავნიც კი იტანჯებიან. დღეს გამოცხადდა თქვენი უდიდესი დიდ-სულოვნება: თქვენ კუჭი გაქვთ მოშლილი.

ბოღდიხანი საკვირველობიდან გამოვიდა.

— რისაგან? ღამე არაფერი დამილევია, ჩემი ძიძის რძის მეტი. 360 თვეა, რაც ბოღდიხანი ვარ და, როგორც შემეფერება, სულ ძიძების რძით ვიკვებები. 360 ძიძა გამომიცვლია და ჩემ დღეში ამგვარი არაფერი დამმართნია. რა აჭამეს ჩემ ძიძას?

მსწრაფლ სასტიკი გამოძიება მოახდინეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძიძას ეჭამა საუკეთესო საჭმლები და ისიც ზომიერად.

— იქნებ ის ჯანით სნეულია? რას მიკეთებდნენ, ვინც იმას მირჩევდნენ? დახოცეთ დამნაშავენი!—განრისხდა ბოღდიხანი.

დამნაშავეთ თავები წააგდებინეს, მაგრამ დიდი მეცადინეობის შემდეგ კი გამოირკვა, რომ ისინი უბრალონი იყვნენ: ძიძა სრულიად კარგად იყო.

ბოღდიხანმა უბრძანა ძიძასთვის დაეძახნათ.

— რამ გაგიფუჭა რძე?—ჰკითხა სასტიკად.

— ცის შვილო, ქვეყნიერების კეთილ-მყოფელო, თვით სიმართლევ,—ეუბნებოდა ცახცახით ძიძა,—შენ იქ არ უნდა ეძებდე სიმართლეს, სადაც გგონია: ჩემთვის ცუდი საჭმელი არავის მოუტანია, არც ზომაზე გადაჭარბებული მიჭამია, არც ავად ვყოფილვარ როდისმე ჩემ სიცოცხლეში. რძე იმიტომ გამიფუჭდა, რომ სულ ჩემ სახლზე ვფიქრობ.

— მერე რა ხდება შენს სახლში?—ჰკითხა ბოღდიხანმა.

— მე პე-ჩი-ლის პროვინციიდან გახლავარ, რომლის მართვა-გამგეობაც ინებე და ჩააბარე

დღით, ბინის პატრონთ ქირა ნახევრად შეუმცირონ. ყოველივე მოიჯარადრობა მამულისა მოისპოს, და, თუ მოიჯარადრემ გაბედა იმის დაცლევინება, არავინ ეს მამული არ დაიჭიროს. მოისპოს შუაკაცობა მამულის დაქირავებაში. მოისპოს პოლიციის „გამასპინძლება“. ეს დადგენილება კრების ერთმა წევრმა კარგად „ვერ შეიმინა“ და თავმჯდომარეს შეეკითხა: „მაშ ჩვენის უბნის ბოქაულს სააღდგომოდ ბატკანი აღარ უნდა გავუგზავნოთო?..

კრება ნაშუადღევის 4 საათზე დასრულდა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ **დამატებით ცნობებს დუშეთის სამღვდელოების კრებისას.** კრებას, სხვათა შორის, დაუდგენია: მღვდელს უსათუოდ სამეურნეო და საქმიო ცოდნაც უნდა ჰქონდეს: მოისპოს აწ არსებული სამრევლო ტიპის სკოლები; შეუერთდეს იმერეთის სამღვდელოების დადგენილებას ქართველ ეკლესიის თავისუფლების შესახებ და ბლაღოჩინებს ირჩევდეს თვითონ სამღვდელოება.

✦ გუშინ, 5 აპრილს, დილის მატარებლით **ტფილისში** ჩამოვიდა **იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი** და წევრი ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორისა არქიმანდრიტი გიორგი. ამბობენ, ეპისკოპოსმა ლეონიდმა ექსარხოსს საექსარხოსო სამღვდელოებათა კრების მოწვევა უნდა სთხოვოსო.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქ ტფილისის ამა წლის **ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.**

✦ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში სოფ. ნოვო-მიხაილოვკის გლეხები გამოსულან სახნავად. მათ **დასცემიან სოფ. შიშტაპის მცხოვრებნი** გაურეკნიათ და უთქვამთ—„მამული ჩვენა, მოხვნის ნებას არ მოგცემთო“.

✦ **ინჟენერი როტინოვი დეპეშით სთხოვს ქალაქის მოურავს:** მუხრანის ხიდის გაკეთების საქმეს უსახელო საზოგადოებას ნუ მისცემთ, რადგანაც იგი ძვირად დაუსვამს ქალაქს და მე კი ქალაქისათვის სასარგებლო პირობებით ვიკისრებ ამ ხიდის გაკეთებას. გთხოვთ ჩემ მიერ წარმოდგენილი პროექტი გულდასმით განიხილოთო.

✦ **ხმოსანმა მირზოევმა** ქალაქის ხორცის სავაჭრო დუქნების სააღმსრულებლო კომისიაში **განცხადება შეიტანა,** რადგან ხმოსან ქანანოვის შესახებ დადგენილ მსჯავრით კმაყოფილი არა ვარ, ვითხოვ კომისიის წევრობის თანამდებობისაგან განმათავისუფლოთო.

✦ ორშაბათს, 4 აპრილს, **დიდის სეტყვაქარიშხალის გამო,** ტფილისში ტელეფონების მიკროფონები გაფუჭდა და ბევრს ადგილას ტელეფონებმა მოქმედება შესწყვიტეს.

✦ რადგანაც ამჟამად ჩვენებურ ბამბას უცხოეთში ცოტა გასავალი აქვს, **კავკასიაში ბამბის ფასი ძალიან დაეცა.** დღეს გაუპენტავი ბამბა ტფილისში ღირს 1 მ. 50 კ.

✦ კავკასიის სათანადო მთავრობას შინაგან საქმეთა **სამინისტრომ ნება დართო** საგანგებო თანხიდან, რომელიც დანიშნულია ცეცხლისა და წყალისაგან დაზარალებულთათვის, მიეცეს დაბა ცხინვალში მცხოვრებ სფირიდონ მაისურაძეს—90 მანათი, ხოლო სოფ. ძევერას მცხოვრებ აზნაურს ილია ზედგინიძეს 100 მანათი.

✦ ორშაბათს, 4 აპრილს, სამოსამართლო პალატამ განიხილა **დუშეთის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსად ყოფილის მალაქია ცხვედაძის საქმე,** რომელსაც სახელმწიფო ფულის გაფლანგვა ბრალდებოდა და გადუწყვიტა ყოველ პირად უფლების ჩამორთმევა და ორის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

✦ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მარტის ნომრები: მოზრდილ ყმაწვილებისთვის ერთი წიგნი, შემდეგის შინაარსით: 1. გაზაფხული, ლექსი ი. ევდოშვილისა.—2. საყმაწვილო მოგონებანი—ს. მგალობლიშვილისა.—3. ნაკადული. მხარგრძელისა.—4. მგოსნის ვარდები—თ. ლომაურისა.—5. ლოდინი, ლექსი ნ. უ—რისა.—6. დედის წერილი—ნინო ნაკაშიძისა.—7. პოლბერის საუბარი—ი. მ.—ანისა. 8. უძველესი ადამიანი—თ. ნარევი. 10. სახალისო სამუშაო და გასართობი და 11. დამატება—ზოოლოგიის სახელმძღვანელო, გაგრძელება. მცირე წლოვანთათვის № IX შემდეგის შინაარსით: 9. ლექსი. შ. მღვიმელისა; დათვის ნაამბობი, თარგმ. ნ. ნაკაშიძისა.—3. ყოჩივარდა, დვალელისა,—7. ცნობის მოყვარე, ლექსი თეოფ. კან. დელაკისა.—5. ერთგული ძაღლი. თარგ. ნინო ნაკაშიძისა.—6. ვახტანგ გორგასალ, არ. ქ—ძესი.—7 მარილი, თარგმ. ელენე ჰიჭინაძისა. 8. ნარევი. 9. სახალისო სამუშაო და გასართობი. № X. 1. ლექსი, კნ. ნინო ორბელიანისა.—2. მოგზაური ბაყაყი, თამარ ამირაჯიბისა.—3. ციცინათელა, იაპონური ზღაპარი ი. ბეჟანიშვილისა.—4. სამი ამხანაგი, ვერა კა—აძისა.—5. ჰერკულესის ამბავი.—6. ალუბალი, თარგმ. თეოფ. კანდელაკისა.—7. ნარევი.—8. სახალისო სამუშაო და გასართობი.

◆

იმერეთის სამღვდელოების კრება

17 მარტის სხდომაზე მღვდლებმა ანგარიში მოსთხოვეს იმ კომისიას, რომელსაც სამღვდელოებისაგან შარშან მინდობილი ჰქონდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაკეტვის მიზეზების გამოკვლევა და აღძვრა უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობისა სასწავლებლის გახსნის შესახებ. ამ კომისიაში ორი დეკანოზი—დ. ღამბაშიძე და ი. ვეფხვაძე—და ერთი მღ. ს. მჭედლიძე ყოფილა. ამათთვის სამღვდელოებას მიუნდვია პეტერბურგში წასვლა და თვით ხელმწიფესთან შუამდგომლობა სემინარიის გახსნის შესახებ. მაგრამ კომისიას, როგორც ყველგან, გარდა ერთმანეთში კინკლაობისა, არა გაუკეთებია-რა. მას ადგილობრივ საქმის გამოსარკვევადაც კი ვერ მოუყარა თავი და ერთი-მეორის ყურებაში წრევანდელმა კრებამაც მიასწრო. ეს ცნობილი მამები ხელცარიელნი წარსდგნენ თავიანთ მრწმუნებელთა წინაშე. მაგრამ საკვირველი აქ ის იყო, რომ ამ დამსახურებულ მამებისაგან შემდგარი კომისია კრებაზე მაინც არ გატყდა და თავის უსაქმობის გამო ბოდიშიც არ მოიხადა, პირიქით, ერთი-მეორეს გადააბრალეს ამისი მიზეზი და ხელმწიფის სახელზე გაგზავნილ ერთ საისტორიო ტელეგრამის გამო ისე დალანძღეს ერთმანეთი, რომ მე აქ იმათის ნალაპარაკევის აღნუსხვაც მეჩოთირება. კრებამ კომისიას დიდი საყვედური გამოუცხადა.

შემდეგ სულიერი მამები ცხოვრებისაგან წამოყენებულ საკითხების გარკვევას შეუდგნენ. დამსწრე საზოგადოება ორად გაიყო. უმრავლესობა თავიანთ ნაკლულევანების აღსარების გზას დაადგა და გულ-ახდილად ლაპარაკობდა ყველაფერს მათ შეგნებულად სწამდათ, რომ დღეს მალულობის თამაშის დრო აღარ არის, ყოველივე ავი და კარგი უნდა ვთქვათ, შემდეგ, თუ ჩვენ არა, სხვებმა მაინც აიცდინონ თავიდან იგივე მდგომარეობაო.

ესენი ამბობდნენ, საჭიროა ხალხის კისერზე დადგმული მძიმე უღელი გადავაგდოთ, ხალხს გვერდში ამოვუდგეთ და მასთან ვიმოქმედოთო.

მაგრამ გაჩნდა მეორე, ამგვარ მისწრაფებათა ხელის შემშლელი ბანაკი, წლოვანებითა და აზრით მობერებულ-მოძველებული მღვდლები, მათ შორის თვით კრების თავმჯდომარე მამა მჭედლიძეც.

ილაპარაკეს იმაზე, თუ რამ შეაძულა ერს მღვდელი და რამ დაუკარგა ავტორიტეტი ხალხის თვალში ამ საკითხის გარშემო ტრიალებდა მთელის ერთის კვირის განმავლობაში სამღვდელოების კრებები. პირველი ბანაკი, ის მოლაპარაკენი ამბობდნენ, რომ ეკლესია და მისნი მსახურნი სრულიად დაემორჩილნენ ბიუროკრატიულ რეჟიმს, რომელსაც ძალმომრეობით ხელში ჩაუგდია სახალხო ცხოვრების მთელი მართვა-გამგეობა. ხალხი წინააღუდგა არა მარტო სამღვდელოებას, რომლის პირდაპირი დანიშნულებაც ქრისტეს მცნების ქადაგება იყო და არა პოლიტიკის სამსახური, არამედ ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც, ასე თუ ისე, ხელს უწყობენ ხალხის დამონავებას და დაჩაგვრას.

სულიერმა მამებმა დღევანდელ ყრილობაზე ნათლად და აშკარად აღიარეს ეს ჭეშმარიტება, თავიანთი ნებსითნი თუ უნებლიეთნი დანაშაულნი ხალხის წინაშე. ამათ სთქვეს, ხალხს სხვებთან ერთად ჩვენც კისერზე ვაწევით, სულიერად და ეკონომიურად ვჩაგრავდით მუდამ, წინამძღოლობის მაგივრად, გვერდშიაც ვერ ამოვუდექით; ამიტომ ხალხს შევძულდით და ასეც უნდა მომხდარიყო უთუოდ, ვინაიდან ჩვენ არ ვაწვდიდით მას იმ სულიერ საზრდოს, რომლისთვისაც მოწოდებული ვიყავით; მჭადისა და პურის მაგიერ, ქვითა და ხრეშით ვუმასპინძლდებოდით. მას შიოდა, სწყუროდა, შიშველი იყო, და ჩვენის დრამა-ფულის დასაკმაყოფილებლად პოლიცია უყიდდა ქვაბს, კარდალს, ტაშტს, ნამზითვ ფარდაგს, ლებს, ბალიშსა და ხანდისხან, თოხსა და ნაჯახსაც, ერთად-ერთ ლუკმა-პურის საშოვარ იარაღს. ქრისტეს მცნების მთესველნი უნდა ვყოფილიყავით და ნამდვილად კი ფისკალურ პოლიტიკას ვემსახურებოდით. ამრიგად, ჩვენ ხალხს გავშორდით და მდიდრებს, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“-ს მივეკედლეთ. იმას იქით რაღა უნდა გვიკვირდეს, თუ ხალხმა ზურგი შემოგვაქცია და გვეუბნება: ვისაც ემსახურები, ვის ინტერესებსაც გულმოდგინედ იცავ, სარჩო-საბადებელიც მას მოსთხოვეო.

ხალხთან შერიგება შესაძლო იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიურად მისგან დამოკიდებული იქნება სამღვდელოება და ეკლესია განთავისუფლდება ბიუროკრატიის სამსახურისაგან. სამღვდელოება დაკმაყოფილებული უნდა იქმნეს ჯამაგირით ხაზინისაგან, ან რომელისამე სხვა წყაროთი.

ეს და ამგვარი აზრებ-შეხედულებანი ჩვენზე უკვე გამოსთქვა ხალხმა თვით მთავრობის კაცის კრიმგირეის წინაშე. იქ გურულმა ხალხმა აშკარად აღიარა ყოველივე ესენი და საქვეყნოდ გახადა. თავისუფალ-სვანეთის წარმომადგენელმა მამამ განაცხადა, დღეს თხოვნითა და ხვეწნით რაიმე უფლების მოპოვება შეუძლებელია; დღეს ყველა იბრძვის, ხმამაღლა ღაღადებს თავის გაჭირვება-საჭიროებაზე და ჩვენც გაბედულად, ხმა-მაღლა უნდა მოვითხოვოთ ჩვენ საჭიროებათა დაკმაყოფილება. მეტი რაღა დაგვემართება: ხალხმა გაგვრისხა, აღარ ვუნდივართ, მთავრობაც ჩვენ არას გვაძლევს და, მაშ, რის მაქნისია—ეს კაბები რომ ჩაგვიცვამს? „მამაო ჩვენოს“ თქმის მეტის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რადგან არსებულმა სკოლებმა მოუმზადებელი გამოგვისტუმრა ცხოვრებისაკენ.

ასეთის აზრებისანი იყვნენ ახალგაზრდა მღვდლები, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, „შვილები“, ხოლო ძველებს, „მამებს“, «შვილების» ამნაირი გულახდილობა არ მოსწონდათ და ლაპარაკის დროს ხშირად აჩერებდნენ. თავმჯდომარემაც თავის საბოლოვო გრძელ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ მღვდლები არ არიან დანაშაულნი ამ ბრალდებაში, რომელზედაც აქ გვეჩიჩინებიანო. თავისი სიტყვა მან თავისსავე მაგალითით დაასაბუთა. მეო,—სთქვა მამა-თავმჯდომარემ,—არც არავის კისერზე ვზივარ და არც არავის ბიუროკრატიულ მიზნებს ვემსახურებიო. მე თითონ თოხი და ბარი მიკავია ხელში და ანაფორა გახდილი ისევე ვმუშაობ, როგორც ყოველი გლეხიო და, თუ არ გჯერათ, ნახეთ როგორ, გადატყავებული მაქვს ხელის გულებიო.

დეკანოზ გ. ცაგარეიშვილმა მღვდლების ნალაპარაკევი შემდეგით დაასკვნა: ეჭვი არ არის, ჩვენ ბევრში ვართ დანაშაულნი, მაგრამ არა ყველაფერში, როგორც ბევრსა ჰგონია. მართალია, ნაკლულევანებაცა გვაქვს, და ან კი ვის არა აქვს იგი? მაგრამ ყოველივე ნაკლი უნდა გავისწოროთ. განახლება გვინდა, განახლება, და დროც ესაა, დღეს უნდა შევსდგეთ ამ გზაზე. პირველ და უმთავრეს მიზეზად ჩვენის ასეთის მდგომარეობისა მიმაჩნია ის უუფლებობა, რომელიც ყველას აწუხებს და უსპობს თავისუფლად მოქმედების სარბიელს. ჩვენ უნდა გვქონდეს თავისუფალი საეკლესიო მმართველობა. რაც შეეხება მღვდლების ნივთიერად უზრუნველყოფას,—მისგან უნდა განვათავისუფლოთ მრევლიცა და ხაზინაც; სიყვარულით შესრულებული სამსახური უსათუოდ დაფასებული იქნება ხალხისაგან, რადგან „მშრომელი ღირსია კვებისა“.

ასე ამ რიგად, 2—3 დღის განმავლობაში ამნაირ საგნებზე სჯა-ბაასით სამღვდელოებამ გამოარკვია და აღნუსხა ის საკითხები, რომელიც მას ბოლოს პეტიციის სახით წარმოუდგინეს და კრებამაც ეს პეტიცია, აქა-იქ შესწორებით, ვაშას ძახილით მიიღო, ქაღალდს მთელი სამღვდელოება აწერს ხელს და იგზავნება მინისტრთა კომიტეტში, სადაც ამ საქმეზე თვალყურის სადევნელად სამღვდელოება ღირსეულ წარმომადგენლის გაგზავნას აპირობს.

გარდა ამ პეტიციისა, სხვა საყურადღებო და საგულისხმო საკითხებიც ბევრი გამოარკვია იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელმა კრებამ და სხვადასხვა ოფიციალურ დადგენილებით დააკანონა.

ის.—არიძე.

ერევნის ქალაქის საბჭოსაგან შემუშავებული მოთხოვნილება სახელმწიფო წესწყობილების გასაუმჯობესებლად.

1. დამფუძნებელ კრების მოწვევა. ამ კრებისათვის წარმომადგენელთა საყოველთაო, ყველასათვის თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით არჩევა. ამ კრებაში კავკასიელთა მონაწილეობა შიდა-რუსეთის მცხოვრებთა თანასწორ უფლებით.

2. წოდებათა განურჩევლად საერობო თვითმართველობის შემოღება, საქალაქო დებულების აგება სრულ თვითმართველობის პრინციპზე.

3. საპოლიტიკო, სასულიერო, სამსახურისა და პრესსის შესახებ და საზოგადოდ ყველა საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება; მომრიგებელ მოსამართლეთა ხალხისაგან არჩევა; გამომძიებელთან ვექილის ყოლის უფლება და დამნაშავედ ცნობილთა პირობით დასჯა.

4. სიკვდილით დასჯის მოსპობა.

5. სამხედრო სასამართლოს, გაძლიერებულ დაცვისა და სამხედრო წესების მოსპობა.

6. მიწის საერთო საკუთრებად გამოცხადება.

7. სახაზინო ადგილების იჯარით გაცემის მოსპობა, თავისუფალ სახაზინო ადგილებზე დასახლება მხოლოდ ადგილობრივ უმიწაწყლო მკვიდრთა და მხოლოდ მკვიდრთაგან სახაზინო ადგილებით სარგებლობა.

8. საყოველთაო უფასო პირველ-დაწყებითი სწავლა კავკასიაში; კერძო ინიციატივის სრული თავისუფლება ყოველგვარ და ყოველსავე ხარისხის სასწავლებელთა დაარსებაში, ამ სასწავლებლებისათვის იმავე უფლებათა მინიჭება, როგორიც სახელმწიფო სასწავლებლებსა აქვთ მინიჭებული. პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს უთუოდ ადგილობრივ ენებზე; საშუალო სასწავლებლებში სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის სწავლება უნდა სწარმოებდეს ისევე, როგორ სხვა უმთავრეს საგნების სწავლებაა მოწყობილი; სამსახურითა და ხარისხით ადგილობრივ ენების მასწავლებელთა სხვა მასწავლებლებთან გათანასწორება.

9. დაუყონებლივ უნდა გაიხსნას ხელახლად სომხების ყველა სამრევლო, საქველმოქმედო და საზოგადო დაწესებულება იმავე უფლებებით, რომელიც მათ წინად ჰქონდათ.

10. ქ. ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსება, განსაკუთრებით უნივერსიტეტისა, რომელშიაც ორისავე სქესის წარმომადგენელს ექმნება სწავლის უფლება და რომელშიაც აღმოსავლეთის ენებსაც ექმნება ადგილი.

11. სასწავლებლებში საზოგადოების მხრივ კონტროლის შემოღება.

12. კრების, შეგროვების, შეკავშირების, გაფიცვის, წრეებ[ის] თავისუფლება, ყველა ენის თანასწორობა კრებებში, პრესსის განთავისუფლება ცენზურისაგან და მისი პასუხის-მგებლობა მხოლოდ სასამართლოს წინაშე; პიროვნებისა და კერძო სადგომის ხელუხლებლობა.

13. რვა საათის სამუშაო დღის შემოღება და სახელმწიფოსაგან მუშათა სავალდებულო დაზღვევა; ხელფასის მინიმუმის დაწესება.

14. ქალების სრული გათანასწორება კაცებთან; წოდებათა მოსპობა.

15. სამოქალაქო ქორწინების შემოღება.

16. კავკასიაში საპოლიციო დარაჯთა მაგივრად საერობო დარაჯთა შემოღება იმავე წესით, როგორც ყოფილა უწინ.

17. ქალაქებში პოლიციის გადაცემა თვითმმართველობის ხელში, სამხედრო სადგომთა ბეგრის შემოღება იმავე წესით, როგორც შიდა-რუსეთში არსებობს.

18. ყოველგვარ საგამომცემლო, საფილანტროპო და საკულტურო დაწესებულებათა დაარსება; აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გამოცემის თავისუფლება, მთავრობის ნებადაურთველადაც.

19. ყოველგვარ სარწმუნოებრივ და სასულიერო შევიწროვების მოსპობა. სვინიდისის თავისუფლება. ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში ფიცის დედა-ენაზე მიღების უფლება.

20. სომეხთა ავტონომიურ ეკლესიის უფლებათა აღდგენა. მაჰმადიანთა სასულიერო წოდების სხვა სარწმუნოებათა სასულიერო წოდებასთან გათანასწორება.

21. სომეხთა საეკლესიო, სამონასტრო და სასწავლებელთა და სემინარიების მამულთა დაბრუნება. ვაკუფების გადაცემა მაჰმადიანთა სასულიერო წოდების ხელში.

22. კავკასიის მკვიდრთაგან სამხედრო ბეგრის კავკასიაშივე გადახდა. ამ ბეგრის ვადის შემცირება ორ წლამდის და სწავლის მიზეზით ზედმეტ უფლებათა მინიჭება სამხედრო სამსახურის საქმეში.

23. ადმინისტრატიულ წესით კავკასიიდან ყველა გადასახლებულთათვის ამნისტია.

24. პასპორტების მოსპობა.

25. სხვადასხვა სამრეწველო საქმის საზოგადოების ხელში გადასვლა და საამისოდ სახელმწიფო კრედიტის გახსნა.

26. საყოველთაო პროგრესიულ გადასახადის შემოღება შემოსავლის კვალობაზე.

27. აქციზის მოსპობა ცხოვრების სხვადასხვა უმთავრესად საჭირო საქონელზე და საზოგადოდ სააქციზო გადასახადების შემცირება მინიმუმამდის.

მთავრობისაგან მამასახლისთა დაყენების მოსპობა.

ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთში

ეპისკოპოსი დიმიტრი ალექსანდრე ნეველის ლავრაში გაჩერებულა. სხვათა შორის, გურიის საქმეზედაც უბაასნია ეპისკოპოსს კორესპონდენტთან:

„ბევრს სისულელეებს სწერენ ამ უკანასკნელ ხანებში გურიის შესახებ. სულ სხვასა სწერენ, მე კი ვლაპარაკობ და ვწირავ კიდეც ქართულად. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არც ერთი სოფლის ეკლესია არ არის, სადაც წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე სწარმოებდეს, და ამ მხრივ სასულიერო საქმე ვერ შეიქმნებოდა მიზეზად ხალხის უკმაყოფილებისა. ამბობენ, სამღვდელოება ხალხის გარუსებას ცდილობსო, მაგრამ სად? დასავლეთ-საქართველოში, სადაც სამღვდელოებამ სრულებით არ იცის რუსული ლაპარაკი და რუსეთის მომხრეც არ არის. ამ პირობებში გარუსებაზე ლაპარაკი ისეთივე შეცდომაა, როგორც პოლონეთში ამავე ბრალის დადება პოლონელ მღვდლებზე. უსიამოვნება გამოიწვია, მაგ., იმ გარემოებამ, რომ ჩემმა მეზობელმა ეპისკოპოსმა არსენიმ აკრძალა ქართული წირვა-ლოცვა სოხუმში, მაგრამ ამას თავისი საბუთიც ჰქონდა. სოხუმი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ნაწილი და ხალხიც იქ უმეტესად აფხაზობა და რუსებია; ამის გარდა, აქვე კიდევ რამდენიმე ქართველიც ცხოვრობს, საქართველოდან გადმოსახლებული. სასაცილო იქმნებოდა რუსებს აფხაზების გაქართველება რომ მოესურვათ. ტყუილია ყველა მითქმა-მოთქმა, დაბრალება, ვითომ სამღვდელოება ხალხის გარუსებას სცდილობდეს—ან სად არის ასეთ მეცადინეობის ნაყოფი? სემინარიაში სწავლა-დამთავრებულები იშვიათად ადგებიან სასულიერო სამსახურს და უმეტესობა თავისუფალ პროფესიებს არჩევს: ექიმობას, ვექილობას, ინჟენერობას და სხვა. მართალია, სამღვდელოების ერთი ნაწილი არ არის საკმარისად განათლებული, ნამეტან ფულის სიყვარულსაც იჩენს, და ეს გარემოება, შეიძლება, უკმაყოფილების ერთი მიზეზთაგანი იყოს. მაგრამ არ შეიძლება უმთავრეს და არა-მნიშვნელოვან მიზეზების ერთმანეთში გარევა; ნუ-თუ საფიქრებელია, რომ მთელი ხალხი ამხედრებულიყო 2 მანათის საკომლო გადასახადისა გამო! გურულების საჭიროება უმთავრესად ეკონომიურია,—ასე გამოთქვა თავისი მდგომარეობა ხალხმა ქართულ გაზეთებშიაც, რომლებიც კავკასიის ყველა სურვილებს გადმოგვცემენ და ხშირად ისეთ რამეებსაც ითხოვენ, რომლის მოთხოვნა მხოლოდ იდეალურ რესპუბლიკებს თუ შეუძლია. გურიის მოძრაობა ახალი დაწყებული როდია, იგი თანდა-თან არის მომწიფებული, და ადგილობრივადმინისტრაციის უმეტესობამ კარგად იცოდა მის მომზადების ამბავი. სამღვდელოება კი ამ საქმეში ყველაზე მეტად არის დამნაშავე,—ამას მოწმობს თვით ხალხიც, რომელსაც გამოკითხეს მასი საჭიროებანი მთავრობისაგან გაგზავნილმა სხვადასხვა პირმა. მე არასოდეს არ დამიმალავს ჩემი სიყვარული რუსეთისადმი და მისი გაძლიერების სურვილი და სხვაგანაც იმ გზას დავადგებოდი უთუოდ, რომელსაც ვადექი გურიაში სამსახურის დროსა. მაგრამ ამითი არავითარი საბუთი არ მიმიცია იმისთვის, რომ ჩემზე ის სულელური საყვედური და ბრალდება გამოსთქვან, ვითომც მებრძანებინოს მღვდლებისთვის აღსარების დროს გამოკითხეთ ყველაფერი მრევლს და დაახეზღვეთო საეჭვო პირები. თუმცა უკანასკნელად ბევრი უსიამოვნება გადამხდა თავზე ფოთში ყოფნის დროს, თუმცა შევიქენი იძულებული დამეტოვებინა ჩემი საეპისკოპოსო სამსახური და მრევლი, მაგრამ დღემდის კიდევ მომდის ხალხის ჩემდამი სიყვარულის მრავალი დამამოწმებელი წერილი.

—

თვით ეპისკოპოს დიმიტრის ნალაპარაკევის დასაფასებლად და იმის გასაგებად, თუ რამდენად მართალია ყველაფერი, რასაც ამბობს, მოგვყავს აქვე ეპისკოპოს კირიონის წერილი, დაბეჭდილი გაზ. „რუსის“ № 81-ში:

„ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზ. № 74 იყო დაბეჭდილი ეპისკოპოს დიმიტრის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, მეც გულმოწყალედ შემეხო და ამბობს,—„არა მგონია, ეპ. კირიონმა დაუმადლოს ბ-ნ ნ. დ.-ს იმის გამო, რომ იგი მოითხოვს მისს დაბრუნებას კავკასიაში, თუმცა კავკასიიდან თავისისავე თხოვნით (?) იქმნა გადაყვანილი და თუმცა ეხლა მან გაუცხადა სასულიერო მთავრობას თავისი მტკიცე გადაწყვეტილება (?), აღარასოდეს აღარ დაბრუნდეს კავკასიაშიო“ (?).

„ჩემის ღირსებისათვის დამამცირებელი მგონია ამნაირ სიცრუესა და ცილის-წამებაზე რაიმე პასუხის გაცემა.

კირიონი, ორიოლისა და სევის ეპისკოპოსი“.

ქ. ორიოლი. 26 მარტი 1905 წ.

ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 4 აპრილს, საბჭოს კრებას ქალაქის მოურავის ქ. ა. ვერმიშევის ავადმყოფობის გამო, თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი.

სანამ დანიშნულ საქმეების გარჩევას შეუდგებოდნენ, ხმოსნებმა აღძრეს რამდენიმე კერძო ხასიათის საკითხი. სხვათა შორის. ხმ. ბაბოვმა სთქვა: „ტფილისის ლისტოკში“ ვკითხულობთ, ქალაქის ხორცის დუქნების კომისიამ, განიხილა რა საქციელი ექიმ მ. ზ. ქანანოვისა, დაადგინა, ამის შემდეგ ქანანოვი თავის სხდომებზე აღარ მოიწვიოსო. მე მინდა ვიცოდე, რა ბრალი ედება ექიმ ქანანოვს და არის თუ არა კომისიის ასეთი დადგენილება?

ხმ. ევანგულოვი. არის. კომისიის დადგენილება მალე ქალაქის გამგეობას გარდაეცემა და ამ საგანზე მაშინ ელაპარაკეთ.

ხმ. ქანანოვი. მე ვითხოვ, როდესაც გამგეობა ამ დადგენილებას განიხილავს, მამიწვიოს მე და აგრეთვე ამ კომისიის თავმჯდომარე. რანაირად მოხდა, რომ ჯერ ჩვენ აქ ამ დადგენილებისა არა ვიცით-რა და გაზეთში უკვე დაიბეჭდა. ეჭვი არ არის, რომ...

ხმ. ხუდადოვი. ბ-ნო თავმჯდომარე, ამ ჭუჭყიან სარეცხის რეცხვას აქ ადგილი არა აქვს!..

თავმჯდომარე. ამ საგანზე მე აღარავის გაძლევ სიტყვის ნებას.

მანდარინს კი-ნის. ქვეყნიერების სიხარული, საზარელ საქმეებს სჩადის ისა. სახლი გაგვიყიდა და ფულები თითონ ჩაიდვა, რადგან ნათხოვნი ქრთამის მიცემა ვერ შევძელით. მხევლად წაიყვანა ჩემი და, სიძეს თავი მოჰკვეთა—საჩივლელად არ წავიდესო. ამას გარდა, მამა ჩემი სიკვდილით დასაჯა, დედა საპყრობილეში ჩამიგდო. ერთი სიტყვით, ჩვენც ისე მოგვექცა, როგორც სხვებს ექცევა. აი, ყველა ამას ვიგონებ, ვსტირი და რძეც ამან გამიფუჭა.

ბოლდიხანი საშინლად განრისხდა.

— დაუძახეთ ჩემ ნაზირ-ვეზირთ!

როცა ესენი შეიკრიბნენ, ბოლდიხანმა სასტიკად უბრძანა:

— მიპოვეთ სადმე ჩქარა პატიოსანი კაცი!...

იპოვნეს.

ბოლდიხანმა უთხრა პატიოსან კაცს:

— მანდარინს კი-ნის ჩავაბარე პე-ჩი-ლის პროვინციის მართვა; ის იქ ისეთ საქმეებს სჩადის, რომ აქ ჩემ ძიძას ბოღმით რძე უფუჭდება. ეხლა წადი, ჩემი სახელით სასტიკი გამოძიება მოახდინე და ამბავი მომიტანე. იცოდე, არც უნდა დამიმალო რამე და არც არა მოუმატო-რა. სიმართლე უნდა გამოიყურებოდეს შენი თვალებიდან, ისე როგორც მთვარე გამოიყურება ხოლმე დაწყნარებულ და ჩაძინებულ ტბიდან,—წყნარ მთვარიან ღამეს რომ გინახავს და ვერ გაგირჩევია—ციდან ჩამოიყურება მთვარე, თუ ტბიდან ისვრის სინათლეს. წადი!

პატიოსანი კაცი დაუყონებლივ წავიდა, თან ასი დახელოვნებული გამომძიებელი წაიყვანა.

სიკვდილის ფერი დაედო შეშინებულ მანდარინს, იგრძნო, საქმე ცუდად იყო, და გამოგზავნილ კაცს რიგიანი ქრთამი შეაძლია.

პატიოსანმა კაცმა, ვინაიდან ის თვით ბოლდიხანისაგან იყო გამოგზავნილი, შიშით ქრთამი ვერ აიღო.

სამჯერ განახლდა მთვარე ცაზე, პატიოსანი კაცი კი სულ საქმეებს არჩევდა.

ბოლოს, მეოთხე მთვარე რომ ილეოდა, პატიოსანი კაცი დაბრუნდა ბოლდიხანთან, გაერთხო იმის წინ და ჰკითხა:

— ყველაფერი მართალი მოგახსენო, თვით სიმართლეე?

— ყველაფერი! უბრძანა ბოლდიხანმა.

— ცის შვილო, მთელი დედამიწის ზურგი შენ სამფლობელოს შეადგენს და, თუ სადმე მოიპოვება ისეთი კუთხე, რომლის სიბრალულიც კაცს აატირებს, ეს პე-ჩი-ლის პროვინციაა. ყოვლად ბოროტ ვეშაპსაც კი მოჰგვრის ცრემლს ამ მხრის უბედურება. ყველა მოწყალებასა თხოულობს და მიმცემი არავინ არის, რადგან ყველა მათხოვარია. ეს სიზარმაცით არ დამართნია იქაურ მცხოვრებლებს: მანდარინი კი-ნი ართმევს ყველაფერს, რასაც მონაგრობენ. კეთილ ზნეობა ფიქრადაც არ მოსდის. კი-ნის მოეწონება თუ არა ქალწული, წაართმევს დედ-მამას და თავისთან წაიყვანს, მარტო ქალწულებით არა კმაყოფილდება, ცოლებსაც ართმევს ქმრებს.

— ეგ ხომ შეუძლებელია!—შეჰყვირა ბოლდიხანმა.

— მთვარის შუქივით კი არა, მზის სხივივით უნდა გამოკრთოდეს, ვგონებ, ჭეშმარიტება ჩემი სიტყვებიდან,—მიუგო პატიოსანმა კაცმა,—რასაც მოგახსენებ, მართალია. შენის ძლიერების სამკაული, საუკეთესო პროვინცია პე-ჩი-ლი იღუპება.

მეტის ჯავრისაგან ბოლდიხანმა თავში ხელი შემოიკრა.

— უნდა მოვიფიქრო რამე, უნდა მოვიფიქრო რამე! რა ვუყო?

ხალხს უბრძანა, დიდ დარბაზში დამიცადეთო, თითონ მეორე ოთახში გავიდა, ბოლთასა სცემდა და ფიქრობდა.

ასე გაატარა სამი დღე.

ბინდისას ბოლდიხანი შევიდა სასახლეში, დიდებულად დაესვენა საჩრდილობელის ქვეშ. იქ მყოფნი მის წინ პირქვე დაემხნენ. მაშინ ბოლდიხანმა გამოაცხადა:

— პე-ჩი-ლის პროვინცია დიდ განსაცდელშია. ამიტომ ვბრძანებთ: ნულარ მოიყვანთ იქიდან ძიძას ბოლდიხანისთვის.

მას შემდეგ პე-ჩი-ლის პროვინციიდან ბოლდიხანისთვის ძიძები აღარ მოჰყავთ.

დათიკო.

ეროვნული

ხმ. ხუდადოვი. აქვს თუ არა გამგეობას ცნობები იმის შესახებ, რომ წარსულ კვირა დღეს ზოგიერთებმა თავის ნებით დაჰკეტეს დუქნები და ტრაქტირები, რაც ძალიან სასურველია, მაგრამ დღესაც დაკეტილია. ამბობენ, დღეს კი პოლიციამ დააკეტინაო, მართალია, თუ არა?

თავმჯდომარე. დუქნების პატრონებმა გამგეობაში განცხადება შემოიტანეს, პოლიციამ დუქნები დაგვახურვინაო. მე ვიყავ გუბერნატორთან. გუბერნატორმა სთქვა, პოლიციის მოხელეებს შეცდომა მოსვლიათ. მე უკვე ბრძანება გავეც, რომ ისევ გააღონ.

ხმ. სვეშნიკოვი. „ტფილისის ლისტოკში" ბევრი იმისთანა ცნობები იბეჭდება, რომელიც ჩირქსა სცხებს ჩვენს ამხანაგ-ხმოსნებს. ეს ცნობები დამახინჯებულია და, ეტყობა, ამ ცნობებს ისევ ჩვენი ამხანაგი აძლევს. გამგეობამ უნდა მოსთხოვოს ამ გაზეთის რედაქციას, დაასახელოს ის კაცი, რომელიც ამ ცნობებს უგზავნის და, თუ არ დაასახელებს, რედაქცია პასუხის გებაში უნდა მიეცეს.

თავმჯდომარე, გამგეობას არავითარი უფლება არა აქვს გაზეთის რედაქციას ანგარიში მოსთხოვოს. ვიზედაც არის დაწერილი, იმას შეუძლიან პასუხიც დაუწეროს და პასუხის გებაშიაც მისცეს.

თავმჯდომარე ჰკითხულობს შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის საპასუხო დეპეშას. მინისტრი სწერს ქალაქის მოურავს, პირდაპირ ჩემს სახელზე დეპეშის გამოგზავნის ნება არა გქონდათ, ჯერ გუბერნატორისთვის უნდა წარგედგინათ, ამით თქვენ საქმეს ვერ დააჩქარებთო და სხვ.

ხმ. ბაბოვი. მინისტრს შეეძლო არსებითად მოეცა ჩვენთვის პასუხი, მაგრამ ის ამაზე არაფერს ამბობს და გვეუბნება, თქვენ ისე არ მომმართეთ, როგორც კანონი მოითხოვსო. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ შინაგან საქმეთა მინისტრის ასეთს პასუხზე და კვლავ გვმობთ არსებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებას (ხმოსნის სიტყვას დამსწრე საზოგადოება აღტაცებულის ტაშის კვრით მიეგება).

ხმ. დოლუხანოვი. კანონით ჩვენ მართლა რომ არ შეგვეძლოს თხოვნით მივმართოთ პირდაპირ მინისტრს. ჩვენმა ქალაქმა უთუოდ გუბერნატორის ხელში უნდა გაიაროს, მაგრამ, 18 თებერვლის უმაღლეს ბრძანების ძალით, ყველას შეუძლიან გამოსთქვას თავისი აზრი და სახელმწიფოს მოწესრიგების საკითხის შესახებ ყველას შეუძლიან მიმართოს თვით ხელმწიფესაც კი. მე დარწმუნებული ვარ, ყველა სხვა ქალაქმაც ამნაირივე პასუხი მიიღო. ჩვენ სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გამოვაცხადოთ პროტესტი და გაზეთებში გამოქვეყნებით საზოგადოების თანაგრძნობა გამოვიწვიოთ.

ხმ. ამირხანოვის აზრით, მინისტრის ამნაირი პასუხი 18 თებერვლის უმაღლეს ბრძანების აზრის დარღვევაა და საჭიროა უმართებულესს სენატში მინისტრზე საჩივრის გაგზავნა.

ბევრი კამათის შემდეგ, საბჭომ მიიღო ორი რეზოლუცია.

1) მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის საპასუხო დეპეშა, ტფილისის ქალაქის საბჭო გამოსთქვამს თავისს მწუხარებას იმის გამო, რომ მინისტრმა, რაღაც ფორმალისტობის გამო, უყურადღებოდ და უპასუხოდ დასტოვა ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა, რისთვისაც საბჭო იძულებულია პროტესტი გამოაცხადოს ჯერ კიდევ არსებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებაზე.

ეს რეზოლუცია ხმ. ბაბოვმა წარადგინა და საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო.

2) ტფილისის საბჭო გამოსთქვამს თავისს მწუხარებას იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ფორმალურად მოეპყრა ტფილისის საბჭოს შუამდგომლობას, და აცხადებს, რომ მინისტრის უარი არსებითად ეწინააღმდეგება უმაღლეს ბრძანების აზრს, რომლის ძალითაც თითოეულ კაცსა და დაწესებულებასაც ნება აქვს სახელმწიფოს მოწესრიგების საქმის შესახებ პირდაპირ ხელმწიფესაც კი მიმართოს.

ეს რეზოლუცია ხმ. დოლუხანოვმა წარადგინა და საბჭომ ერთხმად მიიღო.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა დანიშნულ საქმეების განხილვას. საბჭომ მოისმინა გამგეობისა და უსახელო საზოგადოების შეთანხმების პროექტი. როგორც მკითხველებმა იციან, უსახელო საზოგადოება ციციანოვის აღმართის გაფართოვებაზე და გორკის გამაგრებაზე ხარჯავს 30,000 მანათს.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ, საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება და ხმოსნები აიშალნენ სახლში წასასვლელად.—მოითმინეთ, ბატონო ხმოსნებო, ჯერ ადრეა, ბევრი საქმე გვაქვს გასარკვევი—ეუბნებოდა მათ თავმჯდომარე, მაგრამ ხმოსნებმა თავისა არ დაიშალეს და დარბაზიდან გავიდნენ. თავმჯდომარე იძულებული გახდა, სხდომა დაეხურა.

ხმა სამეგრელოდან.

საერთო მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. სამეგრელო შედარებით გურიასთან და ზოგიერთ საქართველოს სხვა კუთხესთან დაბლა სდგას განათლების მხრით. ამიტომ გასაკვირველიც არაა, რომ მეგრელმა თავის სატკივარზე მხოლოდ მაშინ დაიწყო ჩივილი, როდესაც ყველა საერთო სატკივარზე ლაპარაკობს. ნურვინ იფიქრებს კი, ვითომ გლეხის ამდენის ხნის სამარისებურ სიჩუმის მიზეზი ის იყოს, რომ ვითომ გლეხი აქ უკეთესს მდგომარეობაშია... ეს ასე არ არის. მეგრელი გლეხი ისეთსავე გაჭირებულ მდგომარეობაშია, როგორც გურული, ქართლელი და სხვ.; მიწის სივიწროვე, უნაყოფობა (მთა და ჰაობიან ადგილებში, რომელიც სამეგრელოში ასე ხშირია, მოსავალი არ მოდის), ათასნაირი გარდასახადები გულს უწუხებს და სულს უხუთავს მეგრელებს... მაგრამ მრავალწლის მონობამ და სიბეჩავეში ყოფნამ მეგრელი გლეხი ისე გარდაჰქმნა, რომ ბუნებით მკვირცხლი და თავმოყვარე მეგრელი გლეხი აქამომდე სხვის მონობას სჯერდებოდა და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდა, თუ სადმე თავშესაფარი ფაცხა გააჩნდა და რამდენიმე დღიური სანადელო მიწა ჰქონდა. ვერც განათლების მხრით იყო მეგრელი გლეხი უკეთესს მდგომარეობაში... აუტანელ გაჭირვებაში მყოფი მეგრელი უფრო იმასა სცდილობდა, შვილისთვის თავისი ხელობა ესწავლებინა, ვიდრე იმას, რომ იგი სადღაც შორს გაეგზავნა სასწავლად, რადგან თვით სამეგრელოში სოფლებში სკოლა იშვიათია... არსებული სკოლებიც ვერ აკმაყოფილებდა ხალხს, იმის სულიერ მოთხოვნილებებს... მეგრელს უნდა თავის შვილს ქართულს ენაზე მოლაპარაკეს ხედავდეს, მეგრელს ქართული ენა საღმრთო, წმინდა ენად მიაჩნია და იმის უცოდნელობას მომაკვდინებელ ცოდვად სთვლის. „რად მინდა შვილი, ერთს ბარათს ვერ დამიწერს ვინმესთან ქართულად... რუსულს ასწავლიან და არც იგი იცის ხეირიანად",-ამბობს სკოლაზე გულაცრუებული გლეხი...

ვერც თავად-აზნაურობა იყო და არის აქ საიმედო მდგომარეობაში... ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მას მხოლოდ ერთად-ერთი მიწა გააჩნია... მოთხოვნილებასთან შედარებით შემოსავლის სინაკლულემ თავად-აზნაურობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. პირველად მას შერცხვა, როგორ გავუსწორდეთ გლეხს და მუშაობას როგორ დავიწყებთ. ამან გამოიწვია ქურდობა-ავაზაკობის ხელის მოკიდება. ეს არის მიზეზი, რომ ქურდები და ავაზაკები ამ წოდებიდან უფროა, ვიდრე დაბალ წოდებიდან. დღეს კი, როცა საერთო გამაცოცხლებელმა სიომ დაჰკრა და ყველა გულის ტოკვით ელის, როდის დაჰკრავს უკანასკნელად წუთი, რომ ეს სიო ქარად იქცეს და სულ ერთიანად გადაჰრეკოს გულის შემზარავი და სულის შემხუთავი ჰაერი უსამართლობისა,—ასეთ დროს თავად-აზნაურობის უკეთესი ნაწილი გვერდში უდგას სხვას და მათთან ერთად იმეორებს: „ძირს უსამართლობა! ძირს დღევანდელი სკოლები! გაუმარჯოს ხალხის სამართალს! მომავალ სახალხო სკოლებს, ხალხის გემოზედ მოწყობილებს!" და სხვ... რაც შეეხება მეორე ნაწილს თავად-აზნაურობისას, იმის მდგომარეობა სასაცილოა. ამ ნაწილს დღესაც სწამს, რომ შფოთიანი მდინარის შეჩერება და შეგუბება შესაძლებელია...

საზოგადოდ სულიერი მდგომარეობა ხალხისა საიმედოა; ხალხში ძმობა მტკიცდება, ბოლო ეღება ქურდობას და სხვ.; შური და შფოთი უსურვებიათ ჩამოეგდოთ ბოროტ-მოქმედთ და სისხლის მსმელ „პოლიტიკანებს" აფხაზთა და მეგრელთა შორის... აფხაზების ვითომდა მეგობარ ვაჟბატონებს მათთვის ჩაუგონებიათ, მეგრელები თქვენ ხელს გიშლიან ყოველნაირად და ეცადეთ, ისინი თქვენის მიწებიდან განდევნოთო... რასაკვირველია, „პოლიტიკანებს" მაშინათვე მიუხვდნენ რა სწადდათ, ერთი გავლენიანი პირი გაიგზავნა აფხაზებთან მოსალაპარაკებლად. ამას კი ის მოჰყვა, რომ დღეს აფხაზები და მეგრელები, სადაც ესენი ერთმანეთის მეზობლად სცხოვრობენ,—შეგნებულად, ძმურად და ამხანაგურად ემზადებიან, მომავალი ცხოვრებისათვის.

ათავრენი მ.

რუსეთი

პირუკუღმა რეაქცია. „მოსკ. ვედ."-ს მისი ერთგული მეგობარი სამღვდელოებაც კი ჰღალატობს. ნიჟეგოროდის ეპისკოპოსი ისიდორე გაზ. «ვოლგარ»-ში დაბეჭდილ წერილით „მოსკ. ვედ"-ის რედაქტორს გრინგმუტს ემუდარება, თუ ღმერთი გწამთ, თქვენ გაზეთს ნუღარ მიგზავნითო (რ.).

რიგაში რაღაც მზადდება. რიგის სახაზინო არყის სავაჭროებსა და სხვა დაწესებულებებში ყოველ-დღე შეიარაღებული კაცები შედიან და მოსამსახურეებს ეუბნებიან, ვაჭრობას თავი დაანებეთ და მაღაზიები დაკეტეთ, თორემ ყველას ამოგხოცავთო. უცნობნი ძალას არ ატანენ, მხოლოდ აფრთხილებენ, 1 მაისამდე ისე მოიქეცით, როგორც გინდათო, 1 მაისიდან კი ყველაფერს თავი დაანებეთ, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო (ნ. ვ.).

ახალი პოლიტიკური პარტია. გრინგმუტისა და ეპისკოპოსის ნიკონის გარდა, სხვებიც ადგენენ პოლიტიკურ პარტიას. „ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: სახელმწიფო საბჭოს წევრთან, გრაფ ტოლთან, ამ დღეებში შესანიშნავი კრება მოხდა. კრებას ესწრნენ დიდ-დიდი ბობოლები, ბიუროკრატები, არისტოკრატები და სხ.; კრებას გრ. ალ ბობრინსკი თავმჯდომარეობდა. სულ 42 კაცი დაესწრო. მათ შორის: სახელმწიფო საბჭოს რამდენიმე წევრი: ტოლი, შტიურმერი, სტიშინსკი, ობოლენსკი, გოლოვინი და სხვ. კრებამ გადასწყვიტა, შეუერთდეს თავად-აზნაურთა წინამძღოლების დადგენილებას, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ თავად-აზნაურებს უნდათ 18 თებერვლის რესკრიპტის პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკური პარტია შეადგინონ, ე. ი. მარჯვენა კონსტიტუციონალური პარტია (კონსერვატორთა დასი). ამ პარტიამ სახელმწიფოს მომავალ ევოლიუციის დროს დიდი როლი უნდა ითამაშოს (რ. ვ.).

თეატრი და ხელოვნება

არტისტიულ საზ. თეატრი. ქართული წარმოდგენა, 4 აპრ. «მეზობლები», დრამა ოთხ მოქ. ტრ. რამიშვილისა.

პიესა თანამედროვე კილოსა და ჰანგზეა დაწერილი და კლასთა ბრძოლაზეა აშენებული. ერთის მხრით, გამოყვანილია თანამედროვე დემოკრატიის იდეოლოგი მენაბდიშვილი, რომელიც ხალხში მუშაობს, სინათლეს ავრცელებს და თანასწორობისა და სიმართლის პრინციპებს ჰქადაგებს. ამ პრინციპების მებაირაღტრეს ავტორი უპირდაპირებს მეორე კლასს, წოდებას, ინტელიგენტებს, რომელნიც, თუმცა განათლებულნი არიან, მაგრამ მაინც ხალხს სძარცვავენ, ავიწროებენ, მხოლოდ თავისთვის სცხოვრობენ და, თავის დღეგრძელობისა და სიამოვნების გარდა, აღარაფერი ახსოვთ. როგორც ჰხედავთ, პიესის იდეა ფრიად სიმპატიური, სამართლიანი და სწორია. მაგრამ ამავე დროს ეს იდეა დრამისთვის ფართო და ძნელიც არის. სწორედ ამიტომაა, რომ პიესის ხელოვნური მხარე კოჭლობს. პიესაში ბლომად არის ჩაყრილი კერძო მასალა, პიესის გამაცოცხლებელი და ტიპების დამახასიათებელი სცენები, რომელსაც ძალიან ხშირად თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პიესის იდეის დასასურათებლად და ნასკვის გასახსნელად. გარდა ამისა, ავტორი ეფექტის მოსახდენად ხშირად ხმარობს მელოდრამულ ხერხს, ცრუ ფსიხოლოგიაზე აშენებულს სცენებსა და სხ. აი, მაგალითად: მეორე მოქმედებაში სულ მეტი და უადგილოა ილიკოს დედის მაიას მოთქმა და ტირილი. მეოთხე მოქმედებაში ირაკლი ერთსა და იმავე დროს ოტელოც არის, მაკბეტიცა და „შეშლილის წერილების" გმირიც. უკანასკნელი სცენა შთაბეჭდილებას არ ახდენს, რადგან ყალბ ფსიხოლოგიაზეა დამყარებული და მაყურებელზე მხოლოდ ეფექტის მოხდენა აქვს მიზნად. საერთოდ პიესაში ბევრია ისეთი მასალა, რომელსაც კარგი შემუშავება სჭირია. ცხადია, რომ ავტორს ფსიხოლოგიურ მომენტების დახატვა და დრამატიზმის აღწერა ეძნელება, არ ეხერხება. სამაგიეროდ, შეუძლიან ცოცხალ სცენების გადმოცემა და ამა თუ იმ ეპიზოდებისა და სურათების ხელოვნურად დახატვა, რასაც, ჩვენის აზრით, ავტორმა მომავალში უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს. მოთამაშეებმა თავიანთი მოვალეობა სინდისიერად შეასრულეს. ვ. გუნია თავის ალაგას არ იყო. სვიმონიძეს პირველ მოქმედებაში არა უშავდა, უკანასკნელში კი ძალიან სუსტობდა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან უკანასკნელ სცენას საუკეთესო მსახიობიც კი ვერ გააცოცხლებდა. ჩვეულებრივის სიჭკვიანითა და დაკვირვებით თამაშობდა ბ-ნი შალიკაშვილი. პირველი მოქმედება ქ-ნმა დავითიშვილმა გააცოცხლა. რამდენისამე წუთის განმავლობაში სიმპატიური ტიპი დაგვიხატა, მთელი საზოგადოება დააინტერესა, მაგრამ, ავტორის მეოხებით, სცენიდან პირველ მოქმედებაშივე გაჰქრა. მეორე და მესამე მოქმედება, ქ-ნმა ლეჟავამ ჩაჰბერა სული და სიცოცხლე შეიტანა. კარგნი იყვნენ გედევანიშვილი (ექიმი გრუშნევსკი) და ნ. გვარამძე.

X.

ქართული წარმოდგენა არაქსიანის თეატრში. 3 აპრილს ქართულ სცენის მოყვარულებმა ავლაბრის ახალ თეატრში (არაქსიანისა) წარმოადგინეს ი. გულისაშვილის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ცხოვრება ბრძოლაა". პიესამ მწყობრად ჩაიარა. ანსამბლს ხელს უშლიდა ზოგიერთ გამოუცდელ სცენის მოყვარულის მიერ როლის უცოდინარობა, ასეთი როლის არ მცოდნე იყო, მაგ., რ. გრიგალაშვილი. უმთავრესი როლი ბ-ნმა შათირიშვილმა კარგად ჩაატარა. მისი ხმა და ქცევა ნამდვილ გამოცდილს არტისტს მოგაგონებდათ. მშვენიერი იყო გლეხ ჩიჩიკას როლში ბ-ნი გედევანიშვილი. ჩვენის „გაფუჭკულ კნიაზების" როლი სავსებით დაგვისურათა ბ-ნმა შაკომ. ქალებსაც არა უჭირდათ-რა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.

შ. ტ.

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი. 2 აპრილს აქადაბანაკებული ჯარის უფროსი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ას-ორმოცდა ათამდე კაზაკებით სამეგრელოსაკენ გაემგზავრა, როგორც ამბობენ, ზუგდიდში მომხდარ უწესოების გამო.

ამ ერთი კვირის განმავლობაში აქ, ოზურგეთში, და საზოგადოდ გურიაში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ პირველ აპრილს, მოედანზე სეირნობის დროს, გენ. ალიხანოვის ბრძანებით შეიპყრეს და ადგილობრივ საპყრობილეში დაასპატიმრეს აქციზის მოხელედ ყოფილი გიორგი მამულაიშვილი. ორი ადგილობრივი მცხოვრები გაჩხრიკეს, მაგრამ, როგორც ხმა გავრცელდა საზოგადოებაში, ამ მოქმედებაში რაღაც არა-ჩვეულებრივი და გადაფუჩხებული რამ უნდა იყოს.

28 მარტს ჯარმა ზარბაზნებიც გამოიტანა (სულ ექვსია) და ისე აიარ-ჩაიარა ბაზარი და მახლობელი სოფლები... სხვაფრივ სიწყნარეა. არც ხალხში და არც ჯარის მხრივ არავითარი უწესობა არ ხდება. პირიქით, სამხედრო მუსიკა ხალხს ბაღში სასეირნოდ იწვევს, მარა ხალხი ახლოსაც არ ეკარება. აფიცრები მოწყენილი არიან. გაზეთებში მოხსენებული ამბავი, ვითომც გურიაში დამწვარი ხის სასამართლოების მაგიერ ქვისას აშენებენო,—მართალი არ არის, რადგანაც არ ყოფილა მაგალითი, რომ გურიაში რომელიმე სასამართლოები დაეწვათ, ან რაიმე უწესოდ დაენგრიათ და განადგურებინათ...

გურული.

ს. კონდოლი. 27 მარტს ს. კონდოლში შეიკრიბა 500 კაცი (კონდოლელები, კისისხეველები დაშალაურელები) და შეიმუშავეს მოთხოვნილებები ისეთივე, როგორიც სხვა სოფლებში; მოიწვიეს მამასახლისი, შეამოწმებინეს და ისევე წითელი დროშით და ,,გაუმარჯოს ერთობას'' ძახილით ჩამოუარეს ყველა ადგილობრივ მემამულეებს და მღვდლებს და ხელი მოაწერინეს. ძალ-მომრეობა ხალხს არ უხმარია. მხოლოდ როცა ხალხი ერთ მოურავთან მივიდა და სთხოვა ხელის მოწერა, გამოვიდა ტყის მცველი ბერდენკით ხელში და უნდოდა ხალხისთვის ესროლნა. ხალხი საშინლად აღელდა, ეცა მას, თოფი წაართვა და ამის შემდეგ კიდეც დაიშალა.

ს. წინანდალი. 30 მარტს ს. წინანდალში შეიყარა თავი ოთხი სოფლის ხალხმა (ვანთა, მუშათა, ქვემო-ხოდაშენი და წინანდალი). შეიმუშავეს თავისი მოთხოვნილებანი. სხვა სოფლების მოთხოვნილებებთან შედარებით აქ დამატებული არის შემდეგი მუხლები: სრული თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, გაფიცვისა და კავშირებისა; პიროვნებისა და საცხოვრებელბინის ხელშეუხებლობა, ხელობის თავისუფლება და პასპორტების გაუქმება; მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის შეიარაღება საჭიროების დროს; განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან, დამფუძნებელი კრება, საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორის კენჭის ყრით. მოიწვიეს მამასახლისი, შეამოწმებინეს და წითელი დროშით გაემართნენ ჭავჭავაძეებისკენ. ამათ მოაწერეს ხელი. შემდეგ მივიდნენ განცედარიასთან, დაითხოვეს მოხელეები, დაჰკეტეს განცედარია და გასაღები ამორჩეულ კაცებს გადასცეს. მოაწერინეს ხელი აგრეთვე საუფლისწულო მამულების მოურავს კუროედოვს და მღვდელს იმნაიშვილს. როცა ხალხი ბრუნდებოდა, თვალი მოჰკრეს ორ აქციზის მოხელეს, ტროიკით მომავალთ, და უკანვე დააბრუნეს. წინანდლიდან ხალხი გაემართა ს. ქვემო ხოდაშენისაკენ,—აქაც ყველა მემამულეებმა ხელი მოაწერეს. შემდეგ გადავიდნენ ვანთა-მუშაში, აქაც მოაწერინეს მემამულეებს და მღვდლებს ხელი და დაბრუნდნენ სახლებში.—უნდა გაცნობოთ ისიც, რომ ხალხი ყველგან ირჩევს ათისთავებს და ასისთავებს სოფლის საქმეების მოსაწესრიგებლად.

გ. ქაჯი.

ქ. თელავი. პარასკევს, 1 აპრილს, გაისმა ხალხის ვაიუშველებელი გნიასი: დაკეტეთ დუქნები, ქურდები უნდა დავხოცოთო. წასულ ღამის დუქნების მტვრევაზე მიუსწრიათ ქურდებისთვის და დაუჭერიათ ორი მათგანი ვასო გოგიაძე და გიორგი ჯაღჯაშვილი, მესამე—სარქისა ბაღიროვი იგივე ეზანაშვილი კი გაჰქცეოდათ.

დაიკეტა დუქნები და მთელი ხალხი გაეშურა ეზანაშვილის დასაჭერად. იგი დაიჭირეს სახლში და მასთან ერთად კოლა რუსი, რომელიც შენიშნული იყო. ქურდები მოიყვანეს და ბაზარში ყანთარის ბოძზე მიაბეს. მერე ხალხი გაემართა პოლიციაში ამ ორი ტუსაღის მოსაყვანად. უნდოდათ ოთხივე ერთად ჩაექვავებინათ. მაზრის უფროსმა ურჩია, სჯობია ქურდებს ვკითხოთ, ვინა ჰყავთ ამხანაგები, ვისთან ასაღებენ ნაქურდალს და ამ ქურდებს კი დღეიდანვე გავგზავნი მეტეხშიაო. ხალხმა მათ გაგზავნაზე უარი განაცხადა: ქურდები კი უნდა დავასახელებინოთ, მაგრამ მაგათ კი აუცილებლივ დავხოცავთო. გამოიყვანეს ტუსაღები და ჰკითხეს ვინ არიან თქვენი ამხანაგებიო: მათ დაასახელეს სერგო ცეთაშვილი, სანდრო გვარამაშვილი, შაქრო ფარეჯუნოვი, იოსებ ქორგოგინაშვილი, გიორგი ელისბარაშვილი, ბადდია აკოფოვი, ვარდო არუთინოვი, ილიკო გურამიძე.

ხალხმა ტუსაღები პოლიციიდან რიყეზე წამოიყვანა და შეუდგა ამხანაგებს. ერთმა ტუსაღთაგანმა—კოლა რუსმა (გვარი ვერ გავიგე) სიტყვა მოითხოვა და ხალხის ნებადართვით სთქვა: ხალხო, არა ვარ ქურდი, მხოლოდ დავდიოდი მათთან, მეც მიჭამია ნაპარევ ფულიდანო. მაპატიეთ ეს ყველაფერი, აღარ გავივლი მათთანაო. ხალხმა მტკიცე პირობა ჩამოართვა და აპატია მას. სამს კი სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იქვე რიყეში. აი, დადგა უკანასკნელი წამი, მოვიდა დრო მათის ჩაქვავებისა. სწორედ ამდროს წამოდგა ერთი უცნობი ახალგაზდა და ხალხს უთხრა: ხალხნო, მოვიფიქროთ კარგად, რას ვაკეთებთ. თუმცა ესენი ღირსნი არიან ყველაფრისა, მაგრამ ჩვენგან ასეთი სასჯელი მეტია. მივსცეთ სხვა ისეთი სასჯელი, რომ სიკვდილს ნატრობდნენ. ხალხის ერთნაირი გულის ძგერა ეხლა ორად გაიყო, პირველს მეორემ სძლია და ტუსაღები სიკვდილით დასჯას გადარჩნენ. სამაგიეროდ იგინი წარუდგინეს მაზრის უფროსს, დაადგინეს „პრიგოვორი" და თელავიდან ამავე დღეს გასტუმრეს.

31 მარტს ხანჯლით დასჭრეს ყანთართან ერთი ქურდად აღიარებული კაცი. დაჭრილთან ექიმი მიდიოდა, მაგრამ ხალხმა უკან დააბრუნა—„ის სასიკვდილოა და უნდა მოკვდესო".

ქვემო ბაზრის ეკალი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

5 აპრილი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: შტაბის გენერალ-კვარტირმეისტერი გენ.-მაიორი ევერტი—მანჯურიის პირველ ლაშქრის საველე შტაბის უფროსად და ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა; ამავე ლაშქრის გენერალ-კვარტირმეისტერს გენ.-მაიორს ოგანოვსკის—მთავარ-სარდლის შტაბის გენერალ-კვარტირმეისტრობა.

გუნჯულინი, 4 აპრილი. (საკ. კორ.). ბრძოლის ველზე ცვლილება არაა. ეს არის, ეხლა მონგოლიიდან დაბრუნდა კაცი და ამბობს, მონგოლიის ნაწილებში, ლიაოხეს ახლო-მახლო მიდამოებში, იაპონელები არ შემინიშნავსო. ყველგან შეიარაღებულ-ხუნხუზთა ბრბოები შეგხვდებათ; ხუნხუზები საქმეს აპირებენო.

ამოი, 4 აპრილი. ნიშნებია, რომ იაპონელები დიდხანს ელოდებოდნენ ამოის მახლობლად ბალტიის ესკადრას.

ჩინელებმა უცხოელთა ნაწილის ერთ-ერთ დიდ სახლში აღმოაჩინეს დიდძალი საწყობი მედიკამენტებისა. ამბობენ აგრეთვე, იაპონელებმა საიდუმლოდ შეიძინეს კუნძულ ვალეის ერთი ნაწილი, რომელიც ამოის ნავთსადგურში მდებარეობსო. რა აზრი აქვს ამ კუნძულის შეძენას—არავინ იცის.

ბერლინი, 4 აპრილი. ავსტრიის საზღვაო აფიცერმა, რომელიც საზღვაო საქმეების საუკეთესო მცოდნედ ითვლება, განაცხადა, რუსეთის ესკადრის მდგომარეობა სახარბიელოაო. ეჭვს გარეშეა, როჟესტვენსკი მოხერხებულ დროს ეძებს და მაშინ შეებრძოლება იაპონელებს. ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ადმირალი ტოგო რომელმაც დაწვრილებით იცის რუსთა ესკადრის მდგომარეობა, ფორმოზასთან უცდის მას და იქ აუტეხს ბრძოლას ამ მოკლე ხანში. რუსეთის ესკადრა განაგრძობს წინსვლას საიგონიდან ჰონკონგისაკენ, ჩვეულებრივის გზით. საათში რომ 14 ვერსი იაროს, დღეს პარაცელსის არქიპელაგთან მიაღწევდა, ხუთშაბათს ჰონკონგის მაღლობთან გაჩნდებოდა და პარასკევს კი ფორმოზას სრუტეში შევიდოდაო.

ტოკიო. 3 აპრილის თარიღით იუწყებიან, ბალტიის ესკადრა ჰონკონგს მიუახლოვდაო. ნახშირის მზიდავი 6 გემი კუნძულთან იმყოფებოდა, ჰონკონგიდან 5 მილის მანძილზე.

მთავრობის-მიერ მოთხოვნილ გემების ნაცვლად, იაპონელმა გემის პატრონებმა იყიდეს 66 გემი და დაიქირავეს 52; უკანასკნელთა რიცხვიდან 22 ნორვეგიისა, 17—ინგლისისა.

ლაბუანი. ფილიპინის კუნძულებიდან მოსული ამერიკის კონტრ-ნაღმოსნები „მარრი" და „ზაუნსეი" იუწყებიან, არც ერთ მეომარ სახელმწიფოს გემები არ გვინახავსო.

ლონდონი. „სტანდარტს" აუწყებენ, რუსთა შავის ზღვის ესკადრას დიდის სიჩქარით ამზადებენ საომარ ფეხზე როგორც ისმის,—შესაძლოა ეს ესკადრას შეეცადოს, რომ როგორმე დარდანელის სრუტეზე გაიაროსო.

ტოკიო, საჩქაროდ დაამთავრეს მოლაპარაკება ახალ შინაგან სესხის შესახებ. ეს სესხი 100 მილიონიერისა და იმავე პირობით იქნება გამოცემული, როგორც წინანდელი სესხები.

ლიაკუნი, 4 აპრილი. გაზეთ „ნიჩი-ნიჩი-შიმბუნს'' ატყობინებენ, ყვითელს ზღვაში ყველგან პორტ არტურიდან ყინულთან ერთად წამოღებული იაპონელებისა და რუსების ნაღმები დაცურავსო.

შანჰაი, 4 აპრილი. („დეილი ტელეგრაფი''). იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, გენზანის გარშემო მოსაგერებული ადგილი განსაზღვრა, ხომალდები გააფრთხილეს, რომ ნელა და სიფრთხილით იარონ.

ტოკიო, 4 აპრილი. ,,დეილი-ტელეგრაფს'' ატყობინებენ, კვირას რუსეთის ესკადრის გემები ჰონკონგთან იმყოფებოდნენო. რუსეთის ხუთმა სანახშირე გემმა ჰონკონგიდან 5 მილის მანძილზე კუნძულებთან ჩაავდო ღუზაო.

სინგაპური, 4 აპრილი. გემს ,,პრინც ჰენრიხს'' კამრანის ნავთსადგურში რუსეთის ესკადრის გემები უნახავს. ჯავშან გადაკრული კრეისერი „დიმიტრი დონსკოი" და ,,რიონი'' დასაზვერად გამოსულ იყვნენ. საბუქსირო ხომალდმა სანახშირე გემი ჯავშნოსნებს მიაყენა, რომელსაც ნახშირით სტვირთავდა. რუსებს დიდძალი ხომალდები უზიდავდნენ სურსათს.

ჰონკონგი, 4 აპრილი. გემმა „ნორდ-ანგლიამ" ნახა დიდი ესკადრა, ჩრდილოეთისკენ მიმავალი, რომელიც ზღვას პროჟექტორებით ანათებდა. არა სჩანს, გემები იაპონელებისა იყო თუ რუსებისა. რადგანაც გემების „სენტლენისა" და „ბატერსიბრიჯის" რაზმის 36 კაცმა უარი განაცხადა კონტრაბანდით იაპონიაში წასვლაზე, დატუსაღებულ იქმნებიან.

პესკადორის კუნძულები. პესკადორის კუნძულებზე საომარი დროის წესები იქმნა შემოღებული. ხომალდებს გამოუცხადეს—ნაპირებიდან შვიდი მილის მანძილზე იარეთო. კელუნგის ნავთსადგურში შესვლა მხოლოდ ნებართვით შეიძლება.

ლონდონი, 5 აპრილი. გუშინ რუსის ელჩს სანგრძლივი ბაასი ჰქონდა ლორდ ლანსდოუნთან.

პეტერბურგი, 5 აპრილი. სახელმწიფო საბჭო 4 აპრილს შეუდგა იმის გამორკვევას, რა დროიდან შეიძლება ახალი სისხლის სამართლის კანონი შემოღებულ იქმნას, ამბობენ, 1906 წლის 1 იანვრიდან შემოიღებენ. ბეჭდვისა და სარწმუნოებრივ დანაშაულობათა შესახებ ეს კანონი იმოქმედებს იმ დრომდე, ვიდრე ახალი დებულება არ შემუშავდება, თანხმად 2 თებერვლის ბძანებისა.—მინისტრთა კომიტეტი შეუდგება პოლონეთის სამეფოს საქმეთა ვითარების განხილვას. პირველად საქალაქო და საერობო სამმართველოების დაარსებაზე იქნება მსჯელობა და პოლონურ ენის შემოღებაზე კერძო საზოგადოებათა მიწერ-მოწერაში.

ლიმოჟი, 4 აპრილი. საღამოს მანიფესტანტები ცდილობდნენ საპატიმრო გატეხათ, დადეწეს საბაზრო მოედნის გალავანი. რამდენიმე სახლი გაძარცვეს, ბარიკადები ააგეს. კავალერიამ სროლა დაუწყო. რამდენიმე მოჰკლეს და ერთიც მძიმედ დასჭრეს. მეთერთმეტე საათზე ბაზრის მოედანი განთავისუფლებული იყო. მანიფესტანტებს სამჯერ შესძახეს—დაიშალენითო, ხოლო იმათ პასუხად ქვა დაუშინეს. რამდენიმე სალდათი დაჭრილია. 30 კაცი დააპატიმრეს.

პარიზი. გენერალ გალიენმა აცნობა კოლონიების სამინისტროს, მადაგასკარის აჯანყებულთა მთავარი რეგაკო დაგვმორჩილდაო.

ბელგრადი. საყურადღებო ბძანება მიეცა სამხედრო უწყებას. ბევრი სარდალთაგანი გადაყვან-გადმოყვანილია, მათ შორის მეფის სამი ადიუტანტი. მეფის ადიუტანტებად გაამწესეს, სხვათა შორის, პავლოვიჩი და კოსტიჩი, რომელნიც მეფე ალექსანდრეს მკვლელობაში ერივნენ.

მინსკი, 4 აპრილი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრთან—აცილოს ის შევიწროება, რომელსაც აყენებს ადგილობრივი ადმინისტრაცია საბჭოს დადგენილებათა შორის გაუქმებით.

ბათუმი, 4 აპრილი. საზოგადო გაფიცვების შემდეგ ოკეანის გემები აქ აღარ გამოჩენილან. ეხლა ინგლისელი გემის პატრონები დასთანხმდნენ, თავიანთი გემები ნავთის ყუთების გადასაზიდავად მოაკარავონ.

პეტერბურგი. ორი კვირის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, პუტილოვის ქარხანაში 4 აპრილს დაიწყეს მუშაობა.—ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებლის უფროსი გენერალ-მაიორი კრიაზნოვი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად დაინიშნა.

კალკუტა, 5 აპრილი. შავი ჭირით ყოველ დღე ასზე მეტი იხოცება.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 1 აპრილი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,72½
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅜ მყიდ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბ-ნკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298½ „
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	268½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

Дозволено цензурою, Тифлисъ, 5 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.